თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

მეგა კრედიტი
Mega Credit
ქუთაისი, რუსთაველის 141 („ჰოპულში“); (0 431) 27 52 45
ქუთაისი, ყავლაშვილის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10

ვინ იმერებს ქუთაისში?

იხილეთ მე-3 გვერდზე

№ 13 (663) 29 აპრილი - 5 მაისი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | www.psnews.ge

ნაგავსაყრელი — პარლამენტის სანაცვლოდ?

გია თევდორაძე: „პარლამენტის გადატანა ერთადერთი დაპირებაა, რასაც „ქართული ოცნება“ ასრულებს“

მთავარი რედაქტორის წინათქმა

ამ ბოლო დროს ქუთაისელებისათვის ლამის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემად იქცა პარლამენტის გადატანა-არგადატანის საკითხი. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ რეგიონულ მედიასთან მარტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, სხვა შეკითხვებთან ერთად, გაზეთ „პოსტსკრიპტუმის“ სახელით ბატონ ბიძინას დავუსვი შეკითხვა, სადაც ვინტერესდებოდი: პარლამენტის სანაცვლოდ, ქუთაისისთვის სხვა რა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება იგეგმებოდა, რომელიც ქალაქის სიცოცხლისუნარიანობას და ფუნქციურ დატვირთვას გააუმჯობესებდა. მაშინ ამ კითხვაზე პრემიერისგან საკმაოდ ზოგადი პასუხი მივიღეთ...

შემდეგ კი, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, მთავრობის კანცელარიამ სხვადასხვა სამინისტროს დაავალა პასუხის მომზადება და ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა მათ:

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან ერთად, რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების ფარგლებში ქ. ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის, მათ შორის, გადამამუშავებელი მრეწველობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების ძირითადი მიმართულებები გააცნოს გაზეთ „პოსტსკრიპტუმის“ რედაქციას და შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს მთავრობის კანცელარიას.“

გასულ კვირაში რედაქციამ უკვე მიიღო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პასუხი, მისი კომპეტენციის ფარგლებში:

„მიმდინარე წელს დაიწყება ქუთაისისთვის ახალი ნაგავსაყრელის მოწყობა. ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები, პრაქტიკულად, სრულდება. პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო KFW-ს მხარდაჭერით ახორციელებს. KFW ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ორგანიზაციაა მსგავსი პროექტების დაფინანსების სფეროში.

„მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ უზრუნველყოფს პროექტის ზედამხედველობას და ქუთაისში, ნიკეას ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელის მაქსიმალურად უსაფრთხო რეჟიმში გადაყვანას (შემოღობვა, მიწის სამუშაოები და ა.შ.).

2013 წელს ქალაქ ქუთაისში დაგეგმილია გზის საფარის აღდგენის და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, რომელიც მოიცავს ქალაქის ძირითად ნაწილს.

გარდა ამისა, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილია ქუთაისში „ხარაზოვის“ ბაღში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები“.

სხვა სამინისტროებისგან, ჯერჯერობით, ქუთაისის განვითარებისთვის დაგეგმილი რაიმე პროექტების შესახებ ინფორმაცია არ მიგვიღია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მთავრობის წარმომადგენელთა ოფიციალური წერილის შესაბამისად, ჯერჯერობით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ქუთაისისთვის უნდა გაკეთდეს, ნაგავსაყრელის მოწესრიგებაა. ანუ, ჯერჯერობით, ნაგავსაყრელი — პარლამენტის სანაცვლოდ. თუმცა, სხვა სამინისტროების პასუხებს როცა მივიღებთ, მაშინ გამოჩნდება როგორია ახალი ხელისუფლების საოცნებო ქუთაისი.

ნატო (გულიზა) გუბელაძე,
გაზეთ „P.S.“-ის და ინტერნეტპორტალის www.psnews.ge-ს მთავარი რედაქტორი

(თემის გაგრძელება იხილეთ მესამე გვერდზე)

კვირის შეკითხვა

დემურ გიორხელიძე პარლამენტარების დედებით დაინტერესდა

ეკონომიკის ექსპერტმა დემურ გიორხელიძემ სოციალურ ქსელში საინტერესო მიმართვა გაავრცელა პარლამენტის წევრების მიმართ (გთავაზობთ მას უცვლელად):

„საქართველოს პარლამენტის წევრებს!

ბატონებო, თქვენ დედები გყავთ?!

თუ გყავთ, შეაჩერეთ მიწის გაყიდვა უცხოელებზე, სანამ ქვეყნის განვითარების სტრატეგია არ იქნება შემუშავებული და ყველაფერი თავის ადგილზე არ დადგება, — ეს კი მალე იქნება! გამოიჩინეთ ელემენტარული პასუხისმგებლობა!

აიღეთ უკანასკნელი 6 თვის სტატისტიკა, ნახეთ, რა ტემპებით იყიდება ყველაფერი!

არ გეშინიათ რისხვის?!“

პარტია „თეთრები“ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს

იხილეთ მე-4 გვერდზე

თემურ ცამციშვილს ბრალს ვერ უმტკიცებენ?

იხილეთ მე-6 გვერდზე

გაჩახჩახებული ქუთაისი ნიღვარს მიაქვს

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, საავტო ცენტრი „ჰოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PS news.ge
ISSN 1987-7056

„უკეთესად წერენ ევროპელები?“

რეზო ჭეიშვილი 80 წლისაა

იხილეთ მე-5 გვერდზე

ზვიად პატარიძის დიდი სტარტი საჭიდაო ხალიჩაზე



იხილეთ მე-5 გვერდზე

ჰოროსკოპი — 7.
სკანვორდი — 7.

ქუთაისის საკრებულოში „ნაციონალების" რღვევა გრძელდება

ქუთაისის საკრებულოში უმცირესობაში დარჩენილი „ნაციონალების" ფრაქციის რღვევა გრძელდება. ამჯერად „ნაციონალური მოძრაობა" საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლევან კირკიტაძემ დატოვა. იგი ყოფილი „ნაციონალებისგან" დაკომპლექტებულ ახალ პარტიას — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს" შეუერთდა.

შეგახსენებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ფრაქცია ქუთაისის საკრებულოში აპრილის დასაწყისში დაიშალა. ამის შესახებ დეპუტატებმა მაშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს. როგორც ცნობილი გახდა, ფრაქცია „ნაციონალები" დატოვა ხუთმა დეპუტატმა, მათ შორის, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილმა და ფრაქციის თავმჯდომარე კახაბერ ნემსიწვერიძემ, ხოლო ასევე „ნაციონალური" ფრაქცია „მაჟორიტარები" — ტარიელ მესხმა და დავით ჯანაშიამ. ქუთაისის 25-კაციან საკრებულოში „ნაციონალურ მოძრაობას" 14-წევრიანი უმრავლესობა ჰყავდა, ამ გადაადგილებებით კი იგი თითქმის დაიშალა. დღეს ისინი უმცირესობას წარმოადგენენ და 7 წევრისაგან შედგებიან. ფრაქციიდან გასულმა ყოფილმა „ნაციონალებმა" კი ახალი პარტია — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" — ჩამოაყალიბეს.

„P.S."-თან საუბრისას კირკიტაძე გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს და წამოსვლის მიზეზად პირად გადაწყვეტილებას ასახელებს.

„ვადასტურებ გავრცელებულ ინფორმაციას, „ნაციონალური მოძრაობის" რიგებიდან ნამდვილად წამოვედი. 23 აპრილს დავწერე განცხადება. ამის მიზეზი არც არაფერი იყო, უბრალოდ, პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე გადავდგი ეს ნაბიჯი. შევუერთდი ახლადშექმნილ პარტიას „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი", — აცხადებს კირკიტაძე.

ქეთევან ლეგაზიძე

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

რედაქტორი:
ნანული ცხვედიანი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

რეკლამის მენეჯერი:
ლელა თოლორდავა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება,
არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
ბ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

პრეზიდენტის ვეტო

„ქართულ ოცნებას" ვეტოს დასაძლევად მხოლოდ 89 დეპუტატის ხმა სჭირდება

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 23 აპრილს პარლამენტის მიერ მიღებულ „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონპროექტს ვეტო დაადო. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა განმარტა, სააკაშვილს შენიშვნა იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით აქვს, ხოლო საპარლამენტო უმრავლესობა კი აცხადებს, რომ პრეზიდენტი ცდილობს, ამით მართლმსაჯულების რეფორმა შეაფერხოს.

ანდრო ბარნოვის თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა გამოიყენა, კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და პარლამენტის მიღებულ კანონპროექტებს ვეტო დაადო. პირველი საკითხი შეეხება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებას და საბჭოს მოქმედი შემადგენლობისთვის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტას.

„ვეტოს გამოყენებას, ამ შემთხვევაში, საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ პარლამენტმა უგულვებელყო ვენეციის კომისიის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული პოზიცია... კომისიის რეკომენდაციით, იუსტიციის საბჭოების მნიშვნელოვანი ფუნქციაა მოსამართლეების დაცვა პოლიტიკური ზეგავლენისგან. სწორედ აღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე, არამართებული იქნება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის სრული განახლების დაშვება,"—განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა.

ანდრო ბარნოვი ამბობს, რომ პარლამენტმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისგან, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უწყვეტობას საფრთხეს შეუქმნის. საბჭოს ყველა წევრის ვადამდელი გათავისუფლება კი შექმნის პრეცედენტს, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ ახალ მთავრობასა და ახალ პარლამენტს, რომელიც მხარს არ უჭერს საბჭოს შემადგენლობასა და წევრებს, მისი ვადამდელი დათხოვნა და ახალი საბჭოთი ჩანაცვლება შეეძლება, რაც საბჭოზე ზემოქმედების ბერკეტია.

გარდა „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონისა, პრეზიდენტმა ვეტოს უფლება გამოიყენა იმ პროექტთან დაკავშირებითაც, რომელიც ზღუდავს ბრალდებულის უფლებას, თავად აირჩიოს, მის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ თუ არა.

„არსებული პროექტით, ბრალდებულის ნაცვლად, ამ გადაწყვეტილებას პროკურატურა მიიღებს. არასამთავრობო სექტორის აზრით, მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებასთან დაკავშირებით, პროექტი დამატებით რისკებსაც შეიცავს. ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ პრეზიდენტის დასახელებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის განმარტებები მიგვეცა," — აღნიშნა ბარნოვმა.

პარლამენტი პრეზიდენტის შენიშვნებს არ გაითვალისწინებს!

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე **ირინა იმერლიშვილი** აცხადებს, რომ პარლამენტი „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტოს 1 მაისის სესიაზე დაძლევს.

ირინა იმერლიშვილის განმარტებით, პროცედურა ასეთია: პარლამენტს 10 სამუშაო დღე აქვს, რათა ან დაძლიოს ვეტო, ან კანონი იმ სახით მიიღოს, რა სახითაც პრეზიდენტმა გადაუგზავნა. საკანონმდებლო ორგანო კი პრეზიდენტის შენიშვნების გაზიარებას არ აპირებს.

„პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული შენიშვნებით დასტურდება, რომ პრეზიდენტს, ყოფილ ხელისუფლებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ჰყავს ჯიბეში და მისი ხელიდან გაშვება არ უნდა, მაგრამ ეს არ გამოვა," — აცხადებს იმერლიშვილი.

მისივე თქმით, სტრასბურგში, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას, ვენეციის კომისიის თავმჯდომარემ ჯანი ბუკიკიომ განაცხადა, რომ ის მიესალმება ამ კანონპროექტებს და ეს სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის აზრით, საქართველოს პრეზიდენტი სასამართლოების შესახებ კანონპროექტებზე ვეტოს დადებით, უბრალოდ, სასამართლო რეფორმის შეფერხებას ცდილობს.

„პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადება არის მცდელობა, შეფერხდეს სასამართლო რეფორმა, რადგან ეს კანონპროექტები ნამდვილად არის წინგადადგმული ნაბიჯი სასამართლოს დამოუკიდებლობისკენ. დღემდე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იყვნენ არა არჩეული, არამედ დანიშნული წევრები. მათ მოსამართლეთა კონფერენცია ირჩევდა ღია კენჭისყრით, მათი წარდგენის უფლება კი მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჰქონდა. დღეს შემოთავაზებული ვარიანტით, რომელიც, იმედი გვაქვს, იქცევა კანონად, შემოგვაქვს ფარული კენჭისყრა," — განაცხადა იმერლიშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის **დავით უსუფაშვილის** თქმით, პრეზიდენტის ვეტო სასამართლოების შესახებ კანონპროექტებზე მოსალოდნელი იყო, ვინაიდან მან ამის შესახებ ჯერ კიდევ კანონპროექტის განხილვის დროს განაცხადა.

„ამიტომ უმრავლესობა ამისთვის მზად ვართ. ჯერ გავეცნობით პრეზიდენტის წინადადებებს. მოგეხსენებათ, ჯერ კენჭი უნდა ეყაროს პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ ახალ ვერსიას და შემდგომ ძველ ვერსიას. ვეჭვობ, რომ მან რაიმე საყურადღებო შემოგვთავაზოს ისეთი, რასაც ჩვენ გავიზიარებთ, ამიტომ, ვფიქრობ, ამ საკითხზე პარლამენტი წარმატებით დაძლევს ვეტოს," — განაცხადა უსუფაშვილმა და დასძინა, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ქვეყნისთვისაა სასარგებლო და სასამართლოებში მდგომარეობა აუცილებლად შეიცვლება უკეთესობისკენ.

პარლამენტის სპიკერის განცხადებით, პრეზიდენტის ერთ-ერთი არგუმენტი არის ის, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული, თუმცა ყველასთვის ცნობილია, ვენეციის კომისიის თავმჯდომარის ჯანი ბუკიკიოს შეფასება, რომელიც სასამართლო სისტემაში განსახორციელებელ რეფორმას მიესალმება და აღნიშნავს, რომ ეს დიდი ხანია, გასაკეთებელი იყო.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **თინა ხიდაშელი** კი პრეზიდენტის ვეტოს სტრასბურგში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის წარმატებულ გამოსვლას უკავშირებს.

„ეს იყო რეაქცია იმ წარმატებულ გამოსვლასა და ვიზიტზე, რომელიც პრემიერ-მინისტრს სტრასბურგში ჰქონდა. მას ერთადერთი ამოცანა აქვს, როგორ გაიფუჭოს საქმე," — განაცხადა ხიდაშელმა და დასძინა, რომ სასამართლო რეფორმა, რომელსაც ცხრა წელია, ქართველი ხალხი ელოდება, ერთი კვირით დაგვიანდება.

იუსტიციის მინისტრს კი, როგორც აღმოჩნდა, „პრეზიდენტის ვეტო გაუხარდა". **თეა წულუკიანის** თქმით, პრეზიდენტმა არ იცრუა, როდესაც ოქტომბერში განაცხადა, რომ საკუთარ ხალხს ოპოზიციაში ჩაუდგა.

„ეს ვეტო გამიხარდა კიდეც... გამიხარდა იმიტომ, რომ პრეზიდენტმა ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა არასერიოზული მიდგომა ისეთი სერიოზული საკითხისადმი, როგორიცაა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა საქართველოში," — განაცხადა თეა წულუკიანმა ტელეკომპანია „მაესტროს" გადაცემა „პოლიტმეტრში".

პრეზიდენტის ვეტოს არასამთავრობო სექტორიც გამოეხმაურა. **კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის"** ამასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ კანონპროექტის ინიციატორებმა გაითვალისწინეს სხვადასხვა სუბიექტის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი, რითაც გაუმჯობესდა პროექტის თავდაპირველი ვერსია.

„მიუხედავად ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო კანონპროექტს, რაც ნიშნავს იმას, რომ პროცესი გაგრძელდება პარლამენტში, რაც, კანონმდებლობის მიხედვით, დამატებით დროსა და პროცედურებს მოითხოვს. კოალიციას მიაჩნია, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი რეფორმის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რაც უდავოდ აძლიერებს სასამართლო ხელისუფლებას და ზრდის მისი დამოუკიდებლობის შესაძლებლობებს. კანონპროექტის დროული ამოქმედება კი მართლმსაჯულების სისტემისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადებამ კი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეაფერხოს ეს პროცესი, რაც, პირველ რიგში, სასამართლოს ინტერესებს დააზიანებს," — ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში.

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებულ ცვლილებას, კოალიციის აზრით, ეს კანონპროექტი მნიშვნელოვან გადამუშავებას საჭიროებს. გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი ეხება ბრალდებულის ლეგიტიმურ ინტერესს, მნიშვნელოვანია დაცული იქნეს ბალანსი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარის თქმა მხოლოდ პროკურატურის პოზიციაზე არ იყოს დამოკიდებული.

უზენაესი სასამართლო - თუ პარლამენტი ვეტოს დაძლევს, სასამართლო მზადაა, ახალი კანონით იხელმძღვანელოს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის **კონსტანტინე კუბლაშვილს** განცხადებით, თუ პარლამენტი პრეზიდენტის ვეტოს დაძლევს, უზენაესი სასამართლო მზადაა, ახალი კანონით იხელმძღვანელოს. კუბლაშვილის თქმით, საბოლოო ვარიანტში ვენეციის კომისიის რეკომენდაციები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული.

„შემოთავაზებულ საბოლოო ვარიანტში, რომელზეც მეც მქონდა კონსულტაციები პრემიერთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან, ნაწილობრივ შეესაბამება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. თუკი ასეთი პრეცედენტი იქნება, რომ ამ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ავტომატურად, ახალი ხელისუფლების მოსვლის გამო, სასამართლოში შეიცვლება რაღაც ან ვიღაც, ეს ძალიან ცუდი პრეცედენტი იქნება და ყოველი ახალი ხელისუფლება სასამართლოში ისევ შეცვლის ვიღაცეებს. აი, ამის არდაშვებაზე იყო საუბარი, რაც ვენეციის კომისიამ ასევე გაიზიარა. თუმცა ვენეციის კომისიამ ასევე თქვა, რომ გარდამავალ პერიოდში შეიძლება იყოს რაღაც გამონაკლისები და ამ გამონაკლისებით შეიძლებოდა ნაწილობრივ ცვლილებები, მაგრამ ახლა ნაწილობრივი კი არა, თითქმის სრული ცვლილებებითაა წარმოდგენილი," — აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო უმრავლესობას პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად მხოლოდ 89 დეპუტატის ხმა სჭირდება, რაც პრობლემა არც ამჯერად უნდა იყოს „ქართული ოცნებისათვის," რადგან პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის პრეცედენტი უკვე იყო ამნისტიისა და პოლიტპატიმრების შესახებ კანონის მიღებისას.

ცოტნე პაატაშვილი

ვინ იმერებს ქუთაისში?

ქუთაისის მერობის სავარაუდო კანდიდატებზე საუბარი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ხვადაგიანი, „ამირან მუდმივად“ წოდებული, გადადგა. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და „მეოცნებეებს“ დიდი იმედი ჰქონდათ, რომ მერს იმავე გზას მალევე გაუყენებდნენ. აქციის ფონზე, მოსახლეობის წარმომადგენლებთან ერთად, საკრებულოს სხდომაზეც შეიჭრნენ, მაგრამ მოლოდინები არ გაუმართლდათ — ერთი „ნაციონალი“ მეორემ ჩაანაცვლა და საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი გახდა.

ამ მოვლენების პარალელურად, ქალაქში მალევე გავრცელდა ხმები მერობის „მეოცნებე“ სავარაუდო კანდიდატებზე. ერთ-ერთ კანდიდატად მოიაზრებოდა სოზარ სუბარის მოადგილე გიგა გიორგაძე. თუმცა აღნიშნული ინფორმაცია გიორგაძის პრესცენტრში უარყვეს.

მეორე კანდიდატად დასახელდა ჯერ კიდევ მაშინ მოქმედი ვიცე-გუბერნატორი გოჩა თევდორაძე, რომელიც, ისე ჩანდა, „ოცნებისკენ“ მიიწევდა. თუმცა ოფიციალურად თანამდებობა კი დატოვა, მაგრამ ოფიციალურად „ოცნებაში“ არ გადასულა. ყოფილი „ნაციონალებისგან“ დაკომპლექტებულ პარტიას — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ შეუერთდა.

ამის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ ყოფილმა წევრებმა საკრებულოში „ნაციონალი მერის“ ბესიკ ბრეგაძის იმპიჩმენტის პროცედურა წამოიწყეს და მიზანსაც მიაღწიეს. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტატო კომისიის თავმჯდომარედ თამაზ მარგველაშვილი დაინიშნა. როგორც ცნობილია, კომისია შვიდწევრიანი იქნება. საკრებულოს დეპუტატებით და სამოქალაქო სექტორის წამომადგენლებით დაკომპლექტდება. კომისიის წევრების დაკომპლექტება წინა კვირაში უნდა მომხდარიყო, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, ისევ გადაიდო. საკრებულოს პრესცენტრში პროცესის გაჭიანურების შესახებ კომენტარს არ აკეთებენ და აღნიშნავენ, რომ მერის შესარჩევი კომისია, სავარაუდოდ, იმ კვირაში დაკომპლექტდება.

შიდაპარტიული განხილვები ისევ მიმდინარეობს და პარტიები ვერ შეჯერდნენ მერობის კანდიდატებზე. როგორც აღმოჩნდა, კომისიის წევრების დაკომპლექტებაც განხილვის დონეზეა.

ციცი ჯინჯიხაძე (პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი):

„ჩვენი პარტია განიხილავს მერობის კანდიდატს. ჩვენი ფრაქცია არის უმრავლესობაში, შედგება 10 წევრისგან. ლოგიკას თუ დავეყრდნობით, უმრავლესობა ჩვენ ვართ და ვისაც მხარს დავუჭერთ, ის იქნება ქალაქის მერი.“

ამ ეტაპზე საკრებულოს „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე, **მამუკა მღვდელაძეც** თავს იკავებს მერობის კანდიდატის დასახელებისგან:

„არის რამდენიმე კანდიდატი, მაგრამ თავს შევიკავებ დასახელებისგან, მანანა მიქაძეს დაუკავშირდით, მე არ ჩამოგითვლით.“

დავუკავშირდით **მანანა მიქაძეს,** „ქართული ოცნების“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელს:

„არის ქუთაისის მერობის სამი კანდიდატურა. მხოლოდ რაოდენობას გეტყვით, სახელს და გვარს არ დაგისახელებთ, რადგან თანხმობაც არ გვაქვს მათი და, შესაბამისად, უხერხულია წინასწარ ამაზე საუბარი,“ — აცხადებს მანანა მიქაძე.

ქეთევან ლეგაანიძე

ნაგავსაყრელი — პარლამენტის სანაცვლოდ?

გია თევდორაძე: „პარლამენტის გადატანა ერთადერთი დაპირებაა, რასაც „ქართული ოცნება“ ასრულებს“

პირველი გვერდიდან

დავინტერესდით, გაგვეგო, რას ფიქრობენ რიგითი ქუთაისელები და ჩინოვნიკები აღნიშნულ გეგმებთან დაკავშირებით. მართალია, გამოკითხულთა მოსაზრება მთელი ქალაქის მოსახლეობის აზრს არ წარმოადგენს, მაგრამ საზოგადოების დამოკიდებულებაზე გარკვეულ შთაბეჭდილებას ქმნის.

თამილა ცერცვაძე, მოქალაქე: „ჯერ ერთი, არ უნდა გადმოსულიყო პარლამენტი, მაგრამ, რახან გადმოვიდა და ამხელა ხარჯი გაიღო სახელმწიფო ბიუჯეტმა, აღარ უნდა წაიღონ უკან. იყოს ქუთაისში და იმუშაონ აქ, რაღაც მაინც იფუნქციონირებს ამ ქალაქში. რაც შეეხება იმ პროექტებს, რასაც რეგიონული განვითარების სამინისტრო ჰპირდება ქუთაისს, აბსურდულია. რა გამოდის, ჩვენი ქალაქი მეტს არაფერს იმსახურებს? მართალია, ნაგავსაყრელის პრობლემა გვაწუხებს, მაგრამ ეკონომიკა და სოციალური პრობლემები მეტი გვაქვს, დასაქმება უნდა ხალხს... ამ კუთხით რას გვპირდებიან, ისაა მთავარი?“

ელგუჯა თავაძე, 55 წლის, მოქალაქე: „წინა მთავრობას გზების დაგების გამო აკრიტიკებდნენ და კითხულობდნენ: „გზები ვჭამოთთო?“ რა გამოდის, ისევ გზების ჭამა გვიწევს? პარლამენტი, შეიძლება, არაფერს უკეთებს ამ ქალაქს, მაგრამ სახელად ხომ მაინც არის საპარლამენტო ქალაქი. მე ნიკეაზე ვცხოვრობ და ნაგავსაყრელის პრობლემა ორმაგად მაწუხებს. კარგია, თუ ამ პრობლემას ვინმე მოაგვარებს. გზების რეაბილიტაციაც კარგია, მაგრამ საწარმო უნდა გახსნან, ხალხი დაასაქმონ და ბაღებზე და სკვერებზე მერე იზრუნონ.“

ეკა ცუცქირიძე, მოქალაქე: „რას დაარბენინებენ ამ პარლამენტს — ან ჩვენ დაგვიტოვონ, ან თბილისელებს, რა საჭირო იყო მაგის გადმოტანა? პარლამენტარები აქ არ ცხოვრობენ და ქალაქს რა სარგებელი ექნება? მაგრამ თუ მხოლოდ ეგ პროექტები აქვთ ჩვენს ქალაქთან დაკაშირებით, ძალიან სამწუხაროა. ხალხი უნდა ჩართონ ქალაქის პრიორიტეტების განსაზღვრაში. მილიონებს გზებზე და ნაგავსაყრელებზე რომ ხარჯავენ, ხომ შეიძლება, რაიმე საწარმო გახსნან? კარგია გაპრიალებული გზები და დასუფთავებული ქალაქი, მაგრამ მთავრობა მარტო მაგისთვის არ აგვირჩევია, საარსებო საშუალება უნდა ხალხს. კი იცვლება რაღაცეები უკეთესობისკენ, მაგრამ უკვე შვიდი თვე გავიდა და აღარაა საკმარისი.“

თეონა, 21 წლის, სტუდენტი: „ვერ ვხვდები, რატომ არ უნდათ პარლამენტი ქუთაისში? ერთაერთი რამაა, რაც აცოცხლებს ამ ქალაქს. რა ნაგავსაყრელი და გზები, თუ არავინ ჩამოვიდა ამ ქალაქში, ვისთვის აგებენ გზებს? კი, ჩვენც გვინდა გზები, მაგრამ მე პარლამენტის არსებობა გაცილებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია.“

ზურა იობიძე, სპორტსმენი: „რა მოუტანა პარლამენტმა ქალაქს? არც არაფერი, მაგრამ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება კი გაცილებით მნიშვნელოვანია, იმ სამუშაოებზე ხომ ადგილობრივები დასაქმდებიან, მერე სხვა პროექტები წამოვა. აბა, ასე ერთიანად ვერ ავშენდებით. რომელ ქუთაისელს არ აწუხებს, თუნდაც, ნაგავსაყრელის პრობლემა? ამაზე უნდა ვიზრუნოთ, პრობლემები მოვაგვაროთ,თორემ არც პარლამენტს ექნება აზრი ამ ქალაქში და, საერთოდ, არც პრეზიდენტის რეზიდენციას!“

„P.S.ფოტო“ (ია ჩარკვიანი) ©

„P.S.ფოტო“ ©

პარლამენტის დარჩენა-არდარჩენაზე და რეგიონული განვითარების სამინისტროს ქუთაისურ გეგმებზე მკაფიო მოსაზრება გააჩნია ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს **მამუკა მღვდელაძეს:**

— არა მგონია და არც არავისგან მომისმენია, ვინმეს საკითხი ისე დაესვას, რომ პარლამენტის საპირწონედ კეთდებოდეს ახალი ნაგავსაყრელი და ხდებოდეს შიდა გზების რეაბილიტაცია. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მისი კომპეტენციიდან გამომდინარე გიპასუხათ და იმ პროექტებზე გამცნოთ, რაც ამ კუთხით დაიწყება ქუთაისში მიმდინარე წელს.

— ბატონო მამუკა, კითხვა იმგვარად იყო დასმული, რომ პარლამენტის გადატანის სანაცვლოდ, რას ჰპირდებოდა მთავრობა ქალაქს სხვადასხვა სფეროში და, რადგანაც მხოლოდ რეგიონული განვითარების სამინისტრო გამოგვეხმაურა, ხომ არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ მიმართულებითაა პროექტები?

— სხვა სამინისტროს, ალბათ, სხვა პროექტი ექნება და, კონკრეტულად, ისინი გიპასუხებენ ამის შესახებ. არავინ ელოდება, რომ კოსმოდრომი აშენდება ქუთაისში, იმ პროექტებს კი, რაზეც რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გაცნობათ, კარგად ვიცნობ და, დამერწმუნეთ, ნამდვილად წაადგება ქალაქს. ქუთაისში ინფრასტრუქტურული პროგრამებია პრიორიტეტული, რასაც ჰქვია გზები, საკანალიზაციო სისტემები, ნაგავსაყრელი, რაზედაც საუბარი ყოველთვის იყო, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ უკვე დაწყებულია ეს პროექტები. ნაგავსაყრელთან დაკავშირებით 15 მილიონის ფარგლებშია საუბარი, 13 მილიონი ლარი დამტკიცებულია 19 ქუჩის, შიდა გზების მოწესრიგებისათვის. ამ რაოდენობის თანხა შარშანაც არ დახარჯულა, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო წელი იყო. დაახლოებით, 7 მილიონი ლარი დაიხარჯა გასულ წელს. 39 მილიონია გათვალისწინებული წყალსარეაბილიტაციო პროექტზე, რაც ამ კუთხით არსებულ პრობლემას მოაგვარებს. ასევე ხარაზოვის ბაღში არსებული შენობის რეკონსტრუქცია მოხდება და გაკეთდება კულტურული ცენტრი. მაგრამ მე ნამდვილად არ მივესალმები, რომ ეს პარლამენტის სანაცვლოდ მოხდეს, თუმცა ამაზე საუბარიც კი არსად ყოფილა.

რაც შეეხება პარლამენტის დარჩენა-არდარჩენის საკითხს, მე ყოველთვის მქონდა მკაფიო მოსაზრება ამასთან დაკავშირებით. ნაწილობრივი გადმოტანა არაა საკმარისი, მაშინ მთელი ადმინისტრაციული ცენტრი და აღმასრულებელი ორგანოები უნდა გადმოვიდეს, რაც კიდევ მილიარდიან ინვესტიციას გულისხმობს და, თუ ჩვენ მზად ვართ ამ ხარჯისთვის, უნდა შევთანხმდეთ საზოგადოებასთან, რომ მოხდება საკანონმდებლო ორგანოს სრული გადმოსვლა. თუ ამისთვის არა ვართ მზად, მაშინ ამ შენობაზე, რომელშიც სერიოზული თანხები დაიხარჯა, აუცილებლად უნდა გვქონდეს მზა გეგმა — რა უნდა განთავსდეს. ეს უდიდესი შენობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს უფუნქციოდ. მოსაზრებების დონეზე ვიტყვი, კარგი იქნება აქ მაღალტექნოლოგიური ინსტიტუტი განთავსდეს, რომელიც გამოირჩევა უნიკალურობით, არა მარტო რეგიონში, არამედ — უფრო მასშტაბურად. ასევე შეიძლება საგანმანათლებლო სფეროზეც გაკეთდეს აქცენტი. სტუდენტური ინვესტიცია გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება ქალაქისათვის.

პარლამენტის გადატანის კატეგორიული წინააღმდეგია ქალაქის ყოფილი მერი, ამჯამად საპარლამენტო უმცირესობის წევრი **გია თევდორაძე,** რომელიც აცხადებს, რომ ვერანაირი ნაგავსაყრელი პარლამენტის მნიშვნელობას ვერ ჩაანაცვლებს და აღნიშნული პროექტებით მთავრობა ისეთს ვერაფერს ჰპირდება ქალაქს, რაც მათი მმართველობის დროს არ განხორციელებულა ქუთაისში.

„პარლამენტი ყველაფერთან ერთად ნიშნავდა დიდ შედეგს იმერეთისათვის და მისი გადატანა გამოიწვევს ქუთაისის უფუნქციოდ დარჩენას. საკანონმდებლო ორგანოს არსებობა ქალაქში, სხვა ღირებულებებთან ერთად, ნიშნავს, რომ ქუთაისელ ახალგაზრდებს არ მოუხდებათ პერსპექტივის საძებნელად ქალაქიდან გასვლა და ქალაქი დაცული იქნება ახალგაზრდა ენერგიის გადინებისგან. რაც შეეხება იმ პროექტებს, რასაც სამინისტრო და, ზოგადად, მთავრობა სთავაზობს ქუთაისს, თუნდაც, პარლამენტის სანაცვლოდ, აბსურდული და თითიდან გამოწოვილია. მოსახლეობამ არ უნდა დაუშვას, რომ ქალაქმა პარლამენტი დაკარგოს. ინფრასტრუქტურის განვითარება პარლამენტის თანმდევი პროცესია. ჩვენ დაწყებული გვქონდა ნაგავსაყრელის პრობლემის მოგვარება, ასევე — შიდა გზების მოწესრიგება, რაც 2014 წელს უნდა დასრულებულიყო. ამიტომ ამ პროექტებით მანიპულირება გულუბრყვილობაა და მეტი არაფერი. ეს იგივეა, ბავშვს ერთი სათამაშო წაართვა და მეორე შეაჩეჩო მის სანაცვლოდ. ვინც პარლამენტის გადატანას ეთანხმება, ჩათვალოს, რომ ქუთაისის სასიკეთილო განაჩენს აწერს ხელს. როგორ უნდა შეხედონ მომავალ თაობას თვალებში? ყოველნაირად შევუქმნით იმის ბარიერებს, რომ გადატანაზე თანხმობა არ მიიღონ, კონსტიტუციურად მონიჭებული ყველა უფლებით ბოლომდე ვიბრძოლებთ, ყოველ ღონეს მივმართავთ და პარლამენტს ქუთაისში დავტოვებთ. აქვე დავამატებ, რომ პარლამენტის გადატანა ერთადერთია იმ დაპირებათაგან, რომელსაც „ქართული ოცნება“ ხალხს უსრულებს,“ — განაცხადა გია თევდორაძემ.

ნესტან ჩაგელიშვილი

შეხვედრა ოცხელებთან და ოცხელელებთან...

26 აპრილს ქუთაისის №2 საჯარო სკოლაში გაიმართა გამოჩენილი ქართველი პედაგოგის იოსებ ოცხელის საღამო, სახელწოდებით „ოცხელელებთან შეხვედრა". ღონისძიების ინიციატორები იყვნენ იოსებ ოცხელის საზოგადოების თავმჯდომარე, პედაგოგი ნანი ჟორჟოლიანი და ჯემალ ქარჩხაძის საზოგადოების თავმჯდომარე, ჟურნალისტი მედეა ჩოგოვაძე.

„დიდი ოცხელის ხსოვნის დღე ყოველთვის იმართება ჩვენს სკოლაში, მაგრამ დღეს უფრო მასშტაბურად აღვნიშნავთ, ვინაიდან იოსებ ოცხელის შთამომავლობა გვესწრება," — განაცხადა საღამოს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, პედაგოგმა ნატო თევდორაძემ, რომლის სადამრიგებლო ჯგუფმაც (მე-11[1] კლასის მოსწავლეებმა) დამსწრე საზოგადოებას გააცნო იოსებ ოცხელის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი დიდი ღვაწლი ქართულ საგანმანათლებლო (და არა მხოლოდ საგანმანათლებლო) სფეროში.მათ დეტალურად მიმოიხილეს ოცხელის ცხოვრების ნაცნობი თუ აქამდე უცნობი ფრაგმენტები, წარმოადგინეს ფოტოკოლაჟი, ასევე მაყურებელს წაუკითხეს ნაწყვეტები ოცხელის აღზრდილთა მემუარებიდან.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ იოსებ ოცხელის შთამომავლები, ასევე „ცოდნისმიერი სანათესაო", როგორც აუდიტორიამ უწოდა საკუთარ თავს.

ოცხელი კათოლიკური წარმოშობის გვარია, შესაბამისად, მიწვეულ სტუმრებს შორის იმყოფებოდა კათოლიკე მღვდელი მამა გაბრიელი, რომელმაც სიტყვით მიმართა აუდიტორიას და ისაუბრა აღნიშნული საღამოს მნიშვნელობაზე. სიტყვით გამოვიდნენ სხვა სტუმრებიც, მათ დიდი კმაყოფილება გამოხატეს ოცხელის პიროვნებისადმი ახალგაზრდების ღრმა დაინტერესების გამო.

შეხვედრაზე აღნიშნეს ახალი წიგნის — „ოცხელელების" შექმნის შესახებ. როგორც ითქვა, ამ წიგნში წარმოდგენილი იქნება იმ ღვაწლმოსილ ადამიანთა მოღვაწეობა, რომლებიც ოცხელის სახელობის გიმნაზიაში აღიზარდნენ და ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. აღნიშნული წიგნის პრეზენტაციას მომავალ წელს გეგმავენ.

ჭანა ჯანელიძე

პარტია „თეთრები" ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს

„თეთრების" განცხადებით, ჩასაფრებულ „ნაცმოძრაობას" დღეს უფრო მეტის გაფუჭება შეუძლია ქვეყნისა და ხალხისათვის, ვიდრე საქმის კეთებაზე ორიენტირებულ ბიძინა ივანიშვილის კოალიციას შეუძლია გააკეთოს, ჩასაფრებული „ნაცების" პირობებში, ხალხისა და ქვეყნისათვის.

„პარტია „თეთრები" იმ პოლიტიკურ ძალათა შორისაა, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველოში რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს, რადგან პარლამენტი დღეს არ ასახავს რეალურ ძალთა განლაგებას და „ნაციონალურ მოძრაობას" არ აქვს ისეთი მხარდაჭერა, როგორითაც ის წარმოდგენილია პარლამენტში," — განაცხადა „თეთრების" ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა ტელეკომპანია „მეცხრე არხის" გადაცემაში „ახალკაცის მატრიცა."

შაშიაშვილის თქმით, რიგგარეშე არჩევნები, შესაძლოა, დასავლეთის გარკვეულ წრეებში არ მოეწონოთ, მაგრამ ჩვენ უნდა დავძლიოთ, რა მოსწონს კრემლს თუ „თეთრ სახლს."

„ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც სურს ქართველ ხალხს. გარდა ამისა, საპარლამენტო არჩევნები ხშირად იმართება იტალიაში, იაპონიასა და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რაც არის ნორმალური მოვლენა დემოკრატიულ სამყაროში," — აღნიშნავს შაშიაშვილი.

როგორც „თეთრები" აცხადებენ, მათ პოლიტიკური მოთხოვნა — „არჩევნები — სასწრაფოდ!" ყველა პარტიას გადაუგზავნეს და ამის თაობაზე საკონსულტაციო შეხვედრა 10 მაისს იგეგმება.

„ქვეყანაში 1 ოქტომბრიდან განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, განსაკუთრებით, 19 აპრილის პოლიტიკურმა თავხედობამ, პარტია „თეთრები", ისევე, როგორც არაერთი პოლიტიკური ძალა და სერიოზული პოლიტიკოსი, მიიყვანა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლად ჩატარების დასკვნამდე. სასიცოცხლოდ მიგვაჩნია ვადამდელი ადგილობრივი არჩევნებიც," — ნათქვამია „თეთრების" პოლიტიკურ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს პარტიის თავმჯდომარე თემურ შაშიაშვილი.

„თეთრები" ფიქრობენ, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს, რადგან დრო არ ითმენს სამი მარტივი რამის გამო:

პირველი — არ შეიძლება ქვეყანამ მოითმინოს დამნაშავე პარტია ჩასაფრებულის როლში, ეს პრაქტიკულად ნიშნავს 1 ოქტომბრის მონაპოვარის განადგურებას;

მეორე — თუ დამნაშავე პარტია არ გასამართლდება და მიეცემა დრო და საშუალება, იქცეს ამ ეტაპზე მეორე პოლიტიკურ ცენტრად, ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება ეთანხმება გარკვეული პერიოდის შემდგომ მის ხელისუფლებაში მობრუნებას.

„ეს ნიშნავს, რომ... ვეთანხმებით ქვეყანაში არასამართლიანი პოლიტიკური სივრცის შექმნას," ვეთანხმებით სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე არსებულ მწვავე კრიზისს. ამაზე დიდი ბოროტება არ შეიძლება გავუკეთოთ საკუთარ ხალხს და ქვეყანას" — ნათქვამია განცხადებაში „არჩევნები — სასწრაფოდ!"

მესამე და განსაკუთრებული — საზოგადოებაში არის აზრი, რომ დღეს ხელისუფლება ყველა დონეზე ხელთ უპყრია კოალიცია „ქართულ ოცნებას", მაშინ, როდესაც მთელი საპრეზიდენტო ვერტიკალი: სამხარეო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო ადმინისტრაციები, სასამართლო და კონტროლის პალატის სისტემები ძველი ხელისუფლებისადმი მორჩილი ერთგულებით ებრძვის ხალხს. ეს ერთხელ კიდევ ასაბუთებს ვადამდელი ადგილობრივი არჩევნების ჩატარების აუცილებლობას.

„ეს არ გახლავთ მხოლოდ ჩვენი მოსაზრება. სამ თვეზე მეტია, მოქალაქეთა გამოხმაურებებიდან და პოლიტიკური დიალოგებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ასე ფიქრობს არა მხოლოდ პარლამენტის გარე, არამედ საპარლამენტო არაერთი პოლიტიკური ძალა. ეს მოსაზრება ძლიერდება არასამთავრობო სექტორში, ექსპერტთა წრეებში და ხალხში," — ნათქვამია განცხადებაში.

თემურ შაშიაშვილმა გადაცემაში „ახალკაცის მატრიცა" კომენტარი გააკეთა, ასევე, პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე, რომ ქვეყანაში მესამე პოლიტიკური ძალა უნდა შეიქმნას.

„მე არ მგონია, რომ საქართველოში უნდა იყოს სამი ცენტრი, თუ ჩვენ ევროპული გზით მივდივართ, უნდა იყოს 4-5 ძლიერი პოლიტიკური ძალა. დღეს დაღუპვა იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ ახალ ალიანსს შექმნის. ივანიშვილმა უკვე დააწესა არაკონკურენტული პოლიტიკური სივრცე, როცა გარკვეულ პარტიებს დიდი დაფინანსება გამოუყო და გვერდით დაიყენა. ქვეყანაში გაჩნდა სამი ტიპის პოლიტიკური ძალა: გაყოყოჩებულები — ივანიშვილთან ყოფნით, გაბოროტებულები — ვინც მასთან არ იმყოფება და ჩასაფრებულები. სწორედ ეს სამი რამ ღუპავს საქართველოს," — აცხადებს შაშიაშვილი.

„თეთრების" ლიდერის აზრით, პოლიტიკაშიც უნდა შეიქმნას კონკურენტუნარიანი გარემო, რისთვისაც სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო, მაგალითად, უნდა დაწესდეს 50%-იანი ბარიერი.

„მაჟორიტარულ არჩევნებში რომ დაწესებული ყოფილიყო 50%-იანი ბარიერი, „ნაცმოძრაობას" პარლამენტში 10%-ზე მეტი არ ექნებოდა, რაც რეალობასთან მიახლოებულ სურათს მოგვცემდა და რიგგარეშე არჩევნებზე საუბარი საჭირო არ იქნებოდა," — აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბარი პარლამენტს გარეთ დარჩენილ პარტიებში 1 ოქტომბრის არჩევნებიდან მალევე დაიწყო. მაგალითად, ამის თაობაზე წერს გამოცემა „პრაიმ ტაიმი" 12 აპრილს გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიაში.

„პოლიტიკურ ძალებს ეშინიათ, რომ პოლიტიკას მხოლოდ ორი პარტია — „ქართული ოცნება", რესპუბლიკელებთან ერთად და ნაციონალები გაიყოფენ, დანარჩენები კი გარეთ დარჩებიან. და მეორეც, ბიძინა ივანიშვილი მუდმივად იმეორებს, რომ მას არა აქვს ხანგრძლივი ინტერესები პოლიტიკაში და რომ, ყველაზე დიდი, ორ წელიწადში დატოვებს პოლიტიკას და საზოგადოებაში გადაინაცვლებს. ანუ ეს კიდევ უფრო ამძაფრებს პოლიტიკურ კონკურენციას. რესპუბლიკელები გამალებით ცდილობენ პოზიციების გამაგრებას, ივანიშვილი საკუთარ პარტიას აწყობს, სხვა პარტიები კი „ნაციონალების" სივრცის ათვისებას უმიზნებენ. ანუ, თითქმის ყველა პოლიტიკურ ძალას დღეს ერთი მიზანი ამოძრავებს — დაიშალოს „ნაცმოძრაობა".

საამისოდ კი აუცილებელ პირობად პარლამენტის დაშლა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა ხდება. პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციის გარკვეული ნაწილი, მათ შორის იგივე ნინო ბურჯანაძის პარტიაში, დარწმუნებულები არიან, რომ ბიძინა ივანიშვილი პარლამენტს მაინც დაშლის და საპრეზიდენტოსთან ერთად საპარლამენტო არჩევნებსაც ჩაატარებს. სჯობს ახლა, ვიდრე ერთი წლის მერე, ადგილობრივი არჩევნების დროს, რადგანაც, როგორც ამიხსნეს, ვენეციის კომისია ადგილობრივ არჩევნებთან ერთად საპარლამენტოს ჩატარებას არასოდეს დასთანხმდება. თუმცა, დავით უსუფაშვილმა ერთხელ, როგორც ჩანს, არცთუ იმდენად შემთხვევით თქვა, რომ ეს პარლამენტი 4 წელი იმუშავებს და ამ ხნის განმავლობაში ოპოზიცია პარლამენტში სწორედ „ნაციონალური მოძრაობა" იქნება — დაახლოებით ასეთი იყო მისი ფრაზა. თუმცა, მოვლენების განვითარების სხვა ვერსიასაც ემხრობიან, ივანიშვილი თავად დაშლის პარლამენტს," — წერს „პრაიმ ტაიმი" სტატიაში.

ასე რომ, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე ოფიციალური პოლიტიკური შეთავაზება „თეთრებმა" უკვე გააჟღერეს. დაველოდოთ, როგორი პასუხი მოჰყვება ქართული პოლიტიკური სპექტრისგან ამ შეთავაზებას.

ცოტნე პაატაშვილი

მოქალაქის ტრიბუნა

წყალვარდნები რიონზე — წისქვილის პრინციპით

ძველი, ძალიან ლამაზი, აზრიანი ნათქვამია: „ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო."

რატომ არ გვინდა, ახალ მიღწევებთან ერთად გამოვიყენოთ ის ძველი გამოცდილება, რომელსაც დღესაც სარგებლის მოტანა შეუძლია?

ადრე ბაღდათის რაიონში ფუნქციონირებდა ხანჰესი, რომელიც, უბრალოდ, ხანისწყლიდან გადმოყვანილი არხით იკვებებოდა. ოდნავ ქვემოთ მდინარეზე ამჟამადაც მოქმედი წისქვილია, შემდეგ ეს არხი მიძვრება მდინარე საკრაულას ქვეშ, წნევით ადის მაღლა და რამდენიმე კილომეტრზე, სოფელ საიმედომდე რწყავს სასოფლო-სამეურნეო მიწებს. ეს არის იმ დროისათვის მოფიქრებული უნიკალური პროექტი.

ასეთ საკითხთან დაკავშირებით, მინდა, ჩემი მოსაზრება შევთავაზო საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს, ბატონ კახი კალაძეს.

ბატონო კახი, დღეს, როდესაც დიდი მოთხოვნაა ელექტროენერგიაზე, უზარმაზარი წყალსაცავები რომ არ ავაგოთ (რომელიც, ასე თუ ისე, უარყოფითად მოქმედებს ჩვენს ბუნებაზე, კლიმატზე, ფინანსებზეც...) გთავაზობთ ასეთ ალტერნატიულ წინადადებას: ლაჯანურჰესის ქვემოთ, იქ, სადაც მდინარე წყალუხვია, ნახევარი რიონი (ისე, რომ კალაპოტი არ დავარღვიოთ), არხით გავარიდოთ კალაპოტს და, ჩვეულებრივი ქართული წისქვილის პრინციპით, ტურბინაზე კიბის საფეხურების მაგვარი წყალვარდნები მოვაწყოთ. რამდენიმე ასეთი წყალვარდნა შეიძლება იყოს გუმათამდე...

ჩემი ვარაუდით, ნახევარი რიონი, თუ მეტს არა, ერთი მეტრის დიამეტრის მილს თავისუფლად გაავსებს და ეს წყალი ვარდნაში უკვე სერიოზული ძალაა. რაც მთავარია, კლიმატზე არანაირ გავლენას არ მოახდენს.

მე ამ დარგის სპეციალისტი არ ვარ, უბრალოდ, ეს ჩემი მოსაზრებაა და, თუკი განხორციელება უწერია, ვფიქრობ, უამრავ ელექტროენერგიას ჩამოიტანს ჩვენი დედა მდინარე ქუთაისში, დასაქმდება მრავალი ადამიანი.

უღრმესი პატივისცემით — **მერაბ კოვზაძე**,
მშენებელი,
ქუთაისი, ავტომშენებლის 38/40

მეგა კრედიტი Mega Credit

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას:

- უჯარიმო, სალომბარდო სესხები ოქროს უზრუნველყოფით 2,5%-დან
- იპოთეკური სესხები
- ფულადი გზავნილები
- სავალუტო ოპერაციები

ასევე თქვენ გაქვთ საშუალება, განათავსოთ თქვენი ფულადი სახსრები დეპოზიტის სახით, რომელზეც დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი.

„მეგა კრედიტის" ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ფილიალში დამატებით შეგიძლიათ ისარგებლოთ „ლიბერთი ბანკის" მომსახურებით.

ქუთაისი, რუსთაველის 141 („ჰოჰულში"); (0 431) 27 52 45
ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან"); (0 431) 27 67 10

ნაწყვეტი რომანიდან „ქარების დაბრუნება“:

„მიცვალებულთა ლანდების საუფლოში გრიალებს ქარი და ირყევა ზედა სართულის ყველა კარი და ფანჯარა. საკვამურიდან გაქარული, გამჭვარტლული ჭინკები მოძვრებიან, სულს ვუბერავ მძლავრად და მივდენი მაგენს; გარბიან ფხაჭაფხუჭით, ჭყავილით... მაგნოლია ირყევა თეთრ ოდასთან მთვარიანში, ხეთა ჩრდილების ჰამაკში; დგას პრეისტორია, — მაგნოლია — ურჩად: სუნთქავს, ჭრიალებს, ოხრავს მაგნოლია მწუხარებისა, აფრქვევს თავისამატკივარ სურნელებას და დგას. ღამეები თეთრდებიან ქარით, ქარში, მთვარეში; ჭინკების ქვითინში მთვარე ირეკლავს მაგნოლიას და დგას მაგნოლია ჩრდილად მთვარეზე, ჩვენი მაგნოლია!

და დგას ქარი ჩვენი შვებისა და წუხილისა.

ჩადგება ქარი და გავთავისუფლდებით მტანჯველი ფორიაქისაგან; არაფრიდან არაფერში გადასვლის ცრუ ტკივილები და ხელახალი შეხვედრების მოლოდინი გაგვტანჯავს...

ქარები მოვიდნენ, ქარები ჰქრიან, სული მაინც წუხს.

ქარები დაბრუნდნენ, რუსა!“

რეზო ჭეიშვილი

„უკეთესად წერენ ევროპელები?“

რეზო ჭეიშვილი 80 წლისაა

თანამედროვე ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი, შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი რეზო ჭეიშვილი ამ დღეებში 80 წლის გახდა. ქუთაისის საზოგადოებრიობამ ცოცხალი კლასიკოსის იუბილე განსაკუთრებულად აღნიშნა: 23 აპრილს ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ხოლო 24 აპრილს ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში დიდი შემოქმედებითი საღამოები გაიმართა.

80 წლის იუბილეს წინ კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი უძღოდა: მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და განათლების საქალაქო სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა მწერლის თხზულებათა შვიდტომეული გამოსცა.

რეზო ჭეიშვილი 1933 წლის 24 აპრილს დაიბადა ქუთაისში. პირველი მოთხრობები 1958 წელს გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალმანახ „პირველ სხივში“. მკითხველი კარგად იცნობს მის მოთხრობებს, ნოველებს, პუბლიცისტურ წერილებს, რომანებს: „ჩემი მეგობარი ნოდარი“ („ქალაქში დინოზავრები დადიან“), „დალი“, „მუსიკა ქარში“, „ყაჩაღები“, „კუდიანი ვარსკვლავი“, „ქარების დაბრუნება“, „ასკილის წითელი ყვავილი“. 2003 წელს გამოვიდა მწერლის რჩეულ ნაწარმოებთა სამტომეული.

რეზო ჭეიშვილი ქუთაისსა და თბილისს შორის „გაბმული“ მწერალია. მთელი თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე არასოდეს მიუტოვებია მშობლიური ქალაქი. თავის ნაწარმოებებში იგი ხატავს თანაქალაქელთა კოლორიტულ სახეებს, გადმოსცემს მათ სევდას, სიხარულს, სიყვარულს, უცნაურ, თითქოსდა ალოგიკურ თავგადასავლებს. მის პროზაში ჰიპერბოლური ნაკადი ბუნებრივად ერწყმის რეალისტურს. რეზო ჭეიშვილი სატირულ-იუმორისტული პროზის დიდოსტატია, მიმართავს გროტესკს, სარკაზმს, ირონიას. სწორედ ამ თვითმყოფადი მწერლური მანერითაა მისი ნაწარმოებები გამორჩეული და საყოველთაოდ აღიარებული.

ბოლო პერიოდში ნაყოფიერად მუშაობს დოკუმენტურ პროზაში, რომელსაც თავად „მომავლის პროზას“ უწოდებს. ამის ნიმუშია თუნდაც 2005 წელს გამოცემული „მესამე გზა (ქუთაისის შესახებ და სხვაც)“.

რეზო ჭეიშვილის სცენარების მიხედვით შექმნილია კინოფილმები: „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „ბზიანეთი“, „გამოაღეთ ფანჯრები“, „ზღვის მგელი“, „ჭიდაობას რა უნდა“, „ექსპრეს-ინფორმაცია“ და სხვ. მასვე ეკუთვნის ეკრანიზაცია (სცენარები) ფილმებისა: „ბაკულას ღორები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ყვარყვარე“.

იშვიათი პოპულარობა ხვდა წილად რეზო ჭეიშვილის ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ ფილმს „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ (1984, რეჟისორი ელდარ შენგელაია), რომლისთვისაც მწერალს 1985 წელს სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

რეზო ჭეიშვილი 1992-2005 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, მწერალთა ლიტერატურული ფონდის თავმჯდომარე; 1961 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, სხვადასხვა პერიოდში — ჟურნალ „ცისკარში“, ალმანახ „საუნჯეში“, ჟურნალ „განთიადის“ მთავარ რედაქტორად, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელმწიფო თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. გამოსცა და იყო მთავარი რედაქტორი გაზეთებისა „მოწამეთა“, „მწვანეყვავილა“, „მწერლური ცხოვრება“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისივე პერსონალური „მწერლის გაზეთი“.

როცა რეზო ჭეიშვილის პროზაზე ვლაპარაკობთ, მრავალ პროფესიულ შეფასებათა შორის, არ შეიძლება, არ მოგვაგონდეს მისი დიდი თანამოკალმის, რეზო ინანიშვილის ერთი ძველი სამაგიდო ჩანაწერი:

„რ. ჭეიშვილის „კვამლი“. დავიდოთ გულზე ხელი და ვთქვათ, უკეთესად წერენ ევროპელები? რა საზარელი გამოფიტულობაა ყველგან, და როგორ ტრიალებს და ბორიალობს ადამიანის სული კვამლივით. ყოჩაღ, ჭეია!“

„ჭეიამ“ მართლაც ღვთაებრივი ნიჭიერებით დახატა თავის შემოქმედებაში ქუთაისისა და საქართველოს მარადი სული.

თაყვანისცემა — მის უბერებელ კალამს!

გაზეთ „P.S.“-ის
რედაქცია

ზვიად პატარიძის დიდი სტარტი საჭიდაო ხალიჩაზე

ამ დღეებში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავემ 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში, 16 წლის ქუთაისელმა ზვიად პატარიძემ აზერბაიჯანში ჩატარებული წარმატებული ასპარეზობის შედეგად ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელი ლიცენზია მოიპოვა. ის პირველი ადგილით დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს.

ზვიად პატარიძე 22-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეა. იგი აიპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების №14 ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის წარმომადგენელია.

10 წლის იყო, როცა მეგობრების დაჟინებული თხოვნით მივიდა სპორტულ სკოლაში.

მისი მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული ოსტატი, სხვადასხვა ასაკში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონების, პრიზიორების აღმზრდელი, თავადაც არაერთგზის ჩემპიონი ელგუჯა მარუაშვილი იხსენებს ზვიადის პირველ სპორტულ დღეს: „ბავშვი რომ მივიღე, ლოტოს კოჭივით გამოიყ ურებოდა, მრგვალი, მსუქანი იყო, მაგრამ დიდი მონდომება ეტყობოდა. არ მიცდენდა ვარჯიშებს. ჩანდა ნიჭიერი, აზრიანი, წამიერად შეეძლო გადაწყვეტილების მიღება, ეს თვისება კი სპორტსმენისთვის აუცილებელია. იგი ყველა ჩემს დავალებას პირნათლად ასრულებს დღემდე და შედეგიც სახეზეა...“

როგორც ზვიადმა გვიამბო, მშობლები, თურმე, ძალიან ეწინააღმდეგებოდნენ სპორტისადმი მის მიდრეკილებას — „სიმაღლეში ვერ გაიზრდებიო“ (დღეს 16 წლის სპორტსმენი სიმაღლით 184 სმ-ია და 104კგ-ს იწონის...).

„თავიდან მიჭირდა, არ მრჩებოდა თავისუფალი დრო, რომ მეგობრებთან ერთად გასართობად წავსულიყავი. ყველაზე დიდი პრობლემა იყო სკოლის გაცდენა. ვარჯიშის გამო ჩამოვრჩი სასწავლო პროგრამას, თუმცა ჩემი სკოლის დირექტორი, ბატონი ლევან ბუაძე ძალიან მიწყობს ხელს, რისთვისაც მისი მადლიერი ვარ,“ — ამბობს ზვიადი.

იგი კვირაში ექვსი დღე (დღეში ორსამჯერაც კი) ვარჯიშობს თავდაუზოგავად. თავისი ექვსწლიანი კარიერის მანძილზე აქტიურად მიიწევს წინ, მიუხედავად ხელისშემშლელი ფაქტორებისა (ძირითადად — ტრამვები. თუმცა, როგორც ზვიადი და მისი მწვრთნელი თანხმდებიან: „სპორტსმენს ვერანაირი ტრამვა წინ ვერ აღუდგება წარმატებისკენ სვლაში“...).

ზვიადის აქტიური მოღვაწეობა ჭიდაობაში 12 წლის ასაკში დაიწყო, მაშინ აიღო პირველი თასიც ოზურგეთში ჩატარებულ შეჯიბრში, თუმცა, ბატონი ელგუჯა ამბობს: „იქ უფრო „ვაჩუქე“ მას თასი, დავანახე, რომ ასეთია შეჯიბრი და დავაჯერე საკუთარ თავში, რომ მეტი შეუძლია.“ იმ დღეს მიღებული ემოციები ახალგაზრდა სპორტსმენისათვის დაუვიწყარი აღმოჩნდა:

„მახსოვს, თასი რომ გადმომცეს, ძალიან გახარებული ვიყავი, ადგილს ვერ ვპოულობდი, სახლშიც არ დამირეკავს, მამისთვისაც კი არ მითქვამს ჩემი წარმატება, მანქანაშიც არ ჩავჯექი, ჩავიხუტე ჩემი თასი და მთელი გზა ფეხით მივდიოდი, მინდოდა, ყველას დაენახა და გაეგო ჩემი წარმატება. ეს დიდი სტიმული იყო ჩემთვის, მაშინ მიეხვდი, რომ თუ ვიშრომებ, ყველაფერს მივაღწევ.“

კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი 14 წლის ასაკში განახორციელა, როცა ხულოში ჩატარებულ საერთაშორისო სეზონურ ტურნირზე სომხეთის წარმომადგენელი დაამარცხა ფინალში და მე-3 ადგილი მოიპოვა. ეს მისი პირველი ოფიციალური წარმატება იყო. შემდეგი სვლა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი აღმოჩნდა კადეტთა შორის, სადაც მეორე ადგილის მოპოვება შეძლო. ამ მეორე ადგილით თითქოს დაკარგა ევროპის საგზური, თუმცა ერთ თვეში, რუსეთში, ყაზარაშვილის სახელობის

ზვიად პატარიძე

საერთაშორისო ტურნირზე, სადაც საქართველოს პირველი-მეოთხე ნომრები მონაწილეობდნენ, წარმატებით იასპარეზა და ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელი საგზურიც ღირსეულად მიიღო. აღნიშნული შეჯიბრი შარშან გაიმართა პოლონეთში (კატოვიცაში).

იქ ზვიადმა ადგილობრივ სპორსტმენებს ორი შეხვედრა მოუგო, თუმცა ფინალში რუსეთის წარმომადგენელთან დამარცხდა... მას შემდეგ ერთი წელი გავიდა და კვლავაც აქტიურ მზადებას შეუდგა წლევანდელი ჩემპიონობისთვის. მან მოიპოვა ევროპისა და მსოფლიო შესარჩევ ტურნირებში პირველობა, გახდა ჩემპიონი და, როგორც აღნიშნეს, „ცალი ხელით“ გაიმარჯვა ფინალში. აზერბაიჯანში ჩემპიონატზე რამდენიმე დღის წინ მოპოვებული წარმატებით ზვიად პატარიძემ საბოლოოდ გაინაღდა ლიცენზია. ევროპის ჩემპიონატი დაგეგმილია მონტერეიში 14 ივნისს, ხოლო მსოფლიო — აგვისტოში, საბერძნეთში.

ზვიადი თავის განცდებსა და ემოციებზე გვესაუბრა: „შეჯიბრის წინ ყოველთვის ვნერვიულობ ხოლმე, ეს ყველა სპორტსმენს ახასიათებს, თუმცა, საკმარისია, ფეხი დავადგა ხალიჩაზე და ყველაფერი მავიწყდება. მარტო გამარჯვებაზე ვფიქრობ. ისიც მაქვს გონებაში, რომ მაყურებელს კარგი სანახაობა უნდა ვაჩვენო, სიამოვნება მივანიჭო გულშემატკივრებს. მიხარია, როდესაც ქართულ დროშას გვიშლიან ტრიბუნებზე და გვამხნევებენ.“

ზვიადის წარმატებაში, როგორც მან აღნიშნა, მის მეგობრებსაც აქვთ დამსახურება: „მაძალებდნენ თავიდან, აქ რა გინდა, წადი, ივარჯიშეო“. ლომის წვლილი კი ბატონ ელგუჯას ეკუთვნის, რომელიც საამაყო მოსწავლეს ახასიათებს, როგორც გამორჩეულს, მიზანდასახულს. „ერთ-ერთი აღმოჩენაა ეს ბავშვი, მისი იმედი მართლაც მაქვს. შეიძლება, რომ გახდეს ოლიმპიური ჩემპიონი. კარგი სპორსტმენია, არ უყურებს ტრამვებს. შემართებით ემზადება დიდი სტარტისთვის. ხასიათი ისეთი აქვს, რომ მიზიდავს ეს ბავშვი, როგორც მწვრთნელს. სწორედ ეს არის მასში საინტერესო, უდიდეს იმედებს ვამყარებ მასზე. ჩემი მიზანია, ისეთი გავზარდო, რომ სიამოვნება მიანიჭოს მაყურებელსაც მისი საქმით. უნდა მოდიოდნენ მის საყურებლად, ხალხს უნდა უყვარდეს იგი. უკან არასოდეს იხევს ზვიადი; გასულ წელს საქართველოს ჩემპიონატზე გასასვლელი ტურნირიდან გამოეთიშა, თუმცა 7 თვეში ისე ივარჯიშა, რომ თავი არ დაუზოგავს, შეძლო და საქართველოს სამი ჩემპიონი დაამარცხა...“

ზემოთხსენებული მარცხი მტკივნეულად ახსოვს ზვიადსაც: „ძალიან დამწყდა გული, რომ გამოვვარდი მაშინ. ჩემი მწვრთნელის დახმარებით შევძელი 7 თვეში მომზადება. გამუდმებით ვვარჯიშობდი, რომ ვიღლებოდი, არ მაცლიდა მოდუნებას, სირბილის დროს უკან მიმყვებოდა მანქანით, რომ ფარხმალი არ დამეყარა, შედეგიც მალევე მივიღეთ...“

№14 ჭიდაობის კომპლექსურ, სპორტულ სკოლაში მცირედი პრობლემა არსებობს: ეს ცხელი წყლის არქონაა, არ არის პირობა იმისათვის, რომ სპორტსმენებმა ვარჯიშის შემდეგ ცხელი წყლის გადავლება შეძლონ. „სხვა ყველაფერი კარგად გვაქვს, ყველანაირად გვიწყობენ ხელს, გვფინანსებენ შეჯიბრებებს და გვერდით გვიდგანან. ესაა საწინდარი იმისა, რომ ასეთი ბავშვები კიდევ გაიზარდონ,“ — განაცხადა ბატონმა ელგუჯამ.

ახალგაზრდა სპორტსმენს უახლოეს გეგმებში ანტალიაში 16 მაისს დანიშნული ექვსდღიანი სეზონური ტურნირი აქვს, ზაფხულში კი ევროპა და მსოფლიო ელოდება.

ჟანა ჯანელიძე

„მინდა, ვიყო ქველმოქმედი და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დავეხმარო...“

მარიამ მჭედლიძე ფონდ „ნატახტარის“ მხარდაჭერით სასწავლო ცენტრ „ნატალის“ კურსდამთავრებული გახდა

კომპანია „ნატახტარმა“ 2011 წლის ნოემბერში „ფონდი ნატახტარი“ დააფუძნა და საქველმოქმედო პროექტის „იზრუნე მომავალზე“ განხორციელება დაიწყო. ფონდის მიზანია მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების პროცესში ხელშეწყობა. პროექტი ხორციელდება ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ მხარდაჭერითა და საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით.

ფსიქოლოგების მუშაობის შედეგად გამოიკვეთა 16-18 წლის მოზარდების ჯგუფი და სწორედ მის წევრებზე გადანაწილდა ფონდის თანხის უდიდესი ნაწილი. ფსიქოლოგების დახმარებით, თითოეული ბენეფიციარისთვის განისაზღვრა ის მიმართულებები, რომელიც მათთვის საინტერესო იყო: სასკოლო საგნებში მომზადება, სწავლა კოლეჯებსა და პროფესიულ სასწავლებლებში, მართვის მოწმობის ასაღებად მოსამზადებელი კურსები, კომპიუტერის შემსწავლელი კურსები და მრავალი სხვა. ფონდის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა მოზარდების ტრანსპორტირებაც.

ფსიქოლოგი გვანცა მეტივიშვილი

2012 წლის ბოლოსთვის რამდენიმე მოზარდმა პროექტის დახმარებით შეძლო სრულფასოვანი, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება.

ამჯერად ჩვენი სტუმარია პროექტის მონაწილე მარიამ მჭედლიძე, რომელიც კომპანია „ნატახტარის“ წყალობით პროფესიას დაეუფლა და სამომავლო გეგმებიც საკმაოდ სერიოზული აქვს.

„მართალი რომ გითხრათ, ბავშვობაში არასდროს მიოცნებია, რომ როდისმე ცნობილი და პოპულარული ადამიანი გამხდარიყავი. უფრო „პრაქტიკული“ პროფესიები მიტაცებდა. მაგალითად, დაწყებით კლასებში ძალიან მინდოდა ექიმობა. მაგრამ ერთადერთი სფერო, რომელიც ყოველთვის მაინტერესებდა, არის სამოდელო სამყარო. მომწონდა დახვეწილი და ლამაზი გოგონები, მათი სამოსი და გარეგნობა. მინდოდა, მეც მეზრუნა მათ გარეგნობაზე, მონაწილეობა მიმეღო „გალამაზების“ პროცესში. ამ ოცნების რეალიზებას ბავშვობაში თოჯინების გალამაზებით ვახერხებდი. ხშირად ახალ ტანსაცმელს ვუკერავდი, ვარცხნილობას ვუცვლიდი და მაკიაჟსაც კი ვუკეთებდი. ფონდ „ნატახტარის“ მხარდაჭერით, ოცნება ჯერ მიზნად და შემდეგ — რეალობად მექცა. სასწავლო ცენტრში „ნატალი“ კოსმეტოლოგიურზე ვსწავლობდი, ეს იყო ორთვიანი სასწავლო კურსი და აღნიშნულ სფეროში საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე. ამ ხნის განმავლობაში თბილისში ვცხოვრობდი. სწავლის საფასურთან ერთად, კომპანიის წყალობით, ბინითაც უზრუნველყოფილი ვიყავი. დღეს ძალიან მინდა ერთ-ერთ სილამაზის სალონში ჩემივე პროფესიით მუშაობა დავიწყო, საკუთარი შემოსავალი მქონდეს, გავიღრმავო ცოდნა და ბავშვობის მეორე ოცნებაც ავისრულო — ფსიქოლოგიურზე ჩავაბარო,“ — გვიამბობს მარიამი და ხაშურის მცირე საოჯახო ტიპის სახლში გატარებულ დღეებს იხსენებს.

მარიამი ამ ყველაფერს ოცნებად მაინც არ თვლის, მისთვის ეს ყველაფერი მიზნებია და არა — ოცნებები.

„მიზანდასახული ვარ და, თუ რამეს ძალიან მოვინდომებ, ყოველთვის ვაღწევ. დარწმუნებული ვარ, რომ ერთ დღესაც ჩემთვის საყვარელი ადამიანები ჩემით იამაყებენ.“

მარიამის დედ-მამა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს ემსხვერპლა. ამ ტრაგედიის შემდეგ უფრო ახლობელი გახდნენ ის მეგობრები, რომელთანაც ტაშისკარის ბავშვთა სახლი და ხაშურის მცირე საოჯახო ტიპის სახლი აკავშირებდა. ამიტომაც იქ გატარებულ დღეებს მარიამი დიდი სიყვარულით

მარიამ მჭედლიძე

იხსენებს. „ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. ზოგი იქ დარჩა, ზოგიც ჩემთან ერთად საკუთარ სახლებს დაუბრუნდა. მათთან ურთიერთობა დღემდე მაქვს. ამჯერად ვცხოვრობ გორში, ძმებთან ერთად. ძალიან მინდა, ქველმოქმედი გავხდე და მზრუნველობამოკლებულ პატარებს დავეხმარო. ამით მიღებულ სიამოვნებას არაფერი შეედრება.“

მარიამი თავისუფალ დროს მეგობრებთან ატარებს. უყვარს კითხვა, განსაკუთრებით — პოეზია. თავადაც წერს, თუმცა თავისი ნამუშევრების ჩვენთვის გაზიარება არ ისურვა: „ეს მხოლოდ ჩემთვის, თანაც როცა მარტო ვარ და როცა რაღაცის თქმა მსურს, და ვერავის ვუმხელ. ალბათ, ეს ღირებული მხოლოდ ჩემთვისაა!“

„მარიამი დაბნეული იყო, თუმცა ზუსტად იცოდა, რა უნდოდა. აკვიატებული ჰქონდა კოსმეტოლოგია. ჩვენც ხელი შევუწყვეთ და შარშან მივამაგრეთ ერთ-ერთ სილამაზის სალონს, სადაც მუშაობდა დამხმარედ, აკვირდებოდა პროცესებს, პროექტის ფარგლებში კი სტიპენდიის სახით ერიცხებოდა 100 ლარი. მოგვიანებით სწავლა დაიწყო სასწავლო ცენტრში „ ნატალი“. მიიღო პროფესიული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატიც. პროექტის ფარგლებში ის მიიღებს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო აპარატურას, ამის შემდეგ, მას შეეძლება, იმუშაოს სილამაზის ნებისმიერ სალონში, — გვეუბნება ფსიქოლოგი **გვანცა მეტივიშვილი.**

„პროექტის ფარგლებში მას, ამ ეტაპზე, ყოველთვიურად 500 ლარი ერიცხება ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ცხოვრობს დეიდასთან ერთად. ფონდმა „იავნანამ“, 2008 წლის ტრაგედიის შემდეგ, მათ გადასცა ბინა, რომელიც მოსაწესრიგებელია. „ნატახტარის“ ფონდის მხარდაჭერით მათ მალე საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესდებათ. პროექტი მართლაც უნიკალურია, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს იმედი მიეცათ. უნდა ნახოთ, როგორ ელოდებიან 14-15 წლის ბავშვები, როდის ჩაერთვებიან ამ პროექტში (ანუ, როდის გახდებიან 16-17 წლისანი). ეს ერთგვარი სტიმულია. იმედი მიეცათ მოზარდებს.“

დედათა შექმნილმა ნამუშევრებმა საზოგადოება აღაფრთოვანა

დღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში მარტვილის წმინდა ნინოს დედათა მონასტერში შექმნილი თექის, გობელენებისა და ხელთნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, ქუთაისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მაღალი შეფასება მისცეს მონასტრის დედებისა და მორჩილების ნამუშევრებს, განსაკუთრებით — თექაში შესრულებულ ულამაზეს ნატურმორტებსა და კომპოზიციებს, ეროვნული თვითმყოფადობით გამორჩეულ გობელენებს. ნამუშევრების ნაწილი გაიყიდა კიდეც და — საკმაოდ იაფად.

გამოფენის მაღალი მხატვრული დონით აღფრთოვანებული საზოგადოება ცალკეული ნამუშევრების ავტორებს კითხულობდა, რაზეც დედებისაგან პასუხად მიიღეს, რომ ეს მთლიანი შემოქმედება მონასტრის სახელითაა წარმოდგენილი და, საერო პირებისაგან განსხვავებით, ინდივიდუალური ავტორები არ განიხილებიან.

ნანა ქვიშარელი

თემურ ცამციშვილს ბრალს ვერ უმტკიცებენ?

სამსაათიანი განხილვის შემდეგ თემურ ცამციშვილის საქმე კვლავ გადაიდო, მომდევნო სხდომა 7 მაისისათვის ჩაინიშნა. ცამციშვილს ბრალი 182 მუხლის მეორე ნაწილით აქვს წაყენებული, რაც თანხების გაფლანგვას გულისხმობს.

თემურ ცამციშვილი

სხდომის დასრულების შემდეგ, ცამციშვილის ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა: „დღევანდელ სხდომაზე თავიდანვე დავაყენეთ შუამდგომლობა მტკიცებულების დაუშვებლობასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ ჩვენი შუამდგომლობა იყო დასაბუთებული, იქიდან გამომდინარე, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, თუ რაზე დაიწყო გამომძიებელმა გამოძიება. ფაქტობრივად გამოდის, რომ მან თვითნებურად აწარმოა ეს გამოძიება, ამის გამო დაუშვებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამოცხადდა სასამართლოს საოცარი გადაწყვეტილება, რომელიც ასევე იყო დაუსაბუთებელი და მან არ დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ ესეც არასწორია, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებების ალბათობის მაღალი ხარისხი, რომელიც გონივრულად დაარწმუნებდა ადამიანს ცამციშვილის ბრალეულობაში. არავის უფიქრია იმაზე, რომ 2011 წელს რიკოთის გვირაბი დაკეტილი იყო და ეს კილომეტრები გაიზრდებოდა. საერთოდ, მიკვირს, ამ სასაცილო საქმეში ადამიანს ბრალი როგორ უნდა წაუყენონ? არაა დაფიქსირებული, რის საფუძველზე დაიწყო გამოძიება. პროკურორმა განაცხადა, რომ წარმოადგენდა მტკიცებულებას არსებით განხილვაზე, რაც არის კანონდარღვევა. თუ მას ჰქონდა მტკიცებულებები, წინა სასამართლოზე უნდა წარმოედგინა, ამის საფუძველზე უნდა მომხდარიყო მისი გადაცემა. რაც შეეხება, პროკურორის განცხადებას, საერთოდ, უკანონო იყო: როგორ შეიძლება, ბრალდების მხარემ დამალოს მტკიცებულება! შეიძლება მოხდეს საიდუმლო ინფორმაციის დამალვა, ისიც — წინა სასამართლოს სხდომამდე, მაგრამ დღეს უნდა განეცხადებინა, რის საფუძველზე დაიწყო გამოძიება და, რადგან ასეთი ფაქტი არ არსებობს, მიგვაჩნია, რომ უსაფუძვლოდაა დაწყებული გამოძიება და უკანონოდ ატარებდნენ მას. რვა თვის განმავლობაში ფორმა ერთი იდო საქმეში და ვისზე და რაზე დაიწყო ეს გამოძიება, დღემდე უცნობია ჩვენთვის. არსებით განხილვაზე შევეცდებით, თავიდანვე დავარწმუნოთ პროკურორი, რომ მან ბრალი უკან გაითხოვოს, რადგან მტკიცებულება არ არსებობს. იმედია, სასამართლო გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს, რადგან საგულისხმოა, რომ არცერთი მოწმის ჩვენებაში თემურ ცამციშვილი და მის მიერ ჩადენილი დანაშაული საერთოდ არ არის ნახსენები.“

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანხა 6 ათასი ლარი, რომლის გაფლანგვაც ბრალდებოდა თემურ ცამციშვილს, ბრალმდებელთა მიერ კარგად გადათვლის შემდეგ 5 ათას ლარამდე შემცირდა.

„ნამდვილად არ მეგონა, იმის დადგენას, თუ რამდენი კილომეტრია ორ ქალაქს შორის მანძილი, არსებითი განხილვა დასჭირდებოდა. დიდი იმედი მაქვს, რომ 7 მაისს ერთხელ და სამუდამოდ გაირკვევა დედაქალაქსა და ქუთაისს შორის მანძილი და ეს პროცესიც დასრულდება,“ — აღნიშნა ბრალდებულმა თემურ ცამციშვილმა ჟურნალისტებთან, რომლებიც გარეთ ელოდნენ პროცესის დასრულებას.

ნესტან ჩაგელიშვილი

გაჩახჩახებული ქუთაისი ნიაღვარს მიაქვს

„ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ იმერეთის ორგანიზაციამ ქუთაისის მოსახლეობის მუნიციპალური სერვისებით კმაყოფილების ხარისხის კვლევის შედეგების პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაცია 25 აპრილს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა. მას მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მოსახლეობის გამოკითხვა პროექტის „ჩაერთე შენი ქალაქის მართვაში“ ფარგლებში ჩატარდა. რომელიც ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი 2012 წლის ივლისში გაიმართა, მეორე კი 2013 წლის აპრილში. ორივე ეტაპზე 800 ადამიანი გამოიკითხა.

„კვლევის დროს გამოიკვეთა, რომელი სერვისი მუშაობს გამართულად და რომელი არა. დადგინდა, რომ გარე განათების სერვისით მოსახლეობა კმაყოფილია, რასაც ვერ ვიტყვით სანიაღვრე სისტემებთან დაკავშირებით. საერთო ჯამში კი ქუთაისელები მნიშვნელოვნად ინფრასტრუქტურულ პრობლემათა მოწესრიგებას მიიჩნევენ,“ — განაცხადა „ახალგაზრდა ეკომონისტთა ასოციაციის“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ პაატა კლდიაშვილმა.

თვითმმართველობების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა კვლევის შედეგები დადებითად შეაფასეს და ერთხმად აღიარეს, რომ ორგანიზაციის რეკომენდაციების პრაქტიკაში გატარება თვითმმართველობას და მუნიციპალიტეტებს მოსახლეობასთან ურთიერთობას გაუმარტივებს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ქვირის ჰოროსკოპი

♈ **ვერძი:** ეს კვირა წარმატებული იქნება, ამიტომ უკეთესია საკამათო საკითხები გადაწყვიტოთ. აკონტროლეთ ყველაფერი, განსაკუთრებით ფინანსური ოპერაციები.

♉ **კურო:** შესაძლებელია რადიოში მოსმენილი სიმღერა თქვენი საყვარელი გახდეს რაღაც დროით. იმდენად მოიხიბლებით მელოდიით, რომ ცოტა ხანში იგი გაჩნდება თქვენს მაღვიძარაზე.

♊ **ტყუპები:** სამსახურში თავს შეუძლოდ იგრძნობთ, თან იქონიეთ წამლები და თბილი მოსასხამი. შესაძლოა, გაციება გეწყებათ, ამიტომ უხასიათოდ იქნებით.

♋ **კირჩხიბი:** ცოტა მოდუნდით და დაისვენეთ, თორემ არ გეყოფათ დრო მნიშვნელოვანი პროექტის დასამთავრებლად. მართალია საკუთარ თავს პირობა მიეცით, საქმეების დამთავრებამდე არ დაისვენებდით, მაგრამ ძალების აღდგენა გესაჭიროებათ.

♌ **ლომი:** სახალხოდ შეგაქებენ სამსახურში, დიდი ხანია გინდოდათ თავის გამოჩენა ერთი პიროვნების წინაშე, გეძლევათ ამის შანსი.

♍ **ქალწული:** მალე ბევრი თავისუფალი დრო გამოგიჩნდებათ, თქვენ კიდევ ჯერ არც კი იცით, რაში დახარჯოთ ის.

♎ **სასწორი:** თუ სუპერმარკეტში შეხვალთ აუცილებლად იყიდეთ ის, რისი გასინჯვაც დიდი ხანია გინდოდათ და ვერ ბედავდით.

♏ **მორიელი:** თავს დაგატყდებათ ბევრი ახალი მოვალეობა. ბევრი თქვენი თანამშრომელი შვებულებაში მიდის, რის გამოც თქვენ ბევრი საქმის ერთად გაკეთება მოგიწევთ.

♐ **მშვილდოსანი:** უმჯობესია გადახედოთ საკუთარ შეხედულებებს და პრინციპებს, შესაძლებელია, ისინი განახლებას საჭიროებენ. შეეცადეთ სხვა კუთხით შეხედოთ ბევრ საკითხს, მაშინ მიხვდებით, რომ ყველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც ფიქრობდით.

♑ **თხის რქა:** შეეცადეთ მეტი სიახლე შეიტანოთ თქვენს ცხოვრებაში. მიეცით თავს გართობის უფლება, ელოდეთ სასიამოვნო ინფორმაციასა და საჩუქარს. წადით თეატრში ან დისკოთეკაზე და იმხიარულეთ.

♒ **მერწყული:** იქნებით ძალიან პირდაპირი. ნებისყოფას ნებისმიერი წვრილმანის გამო დაკარგავთ. გაგაღიზიანებთ როგორც შინაურების, აგრეთვე უცხო ადამიანების საქციელი.

♓ **თევზები:** სამომავლო საქმეები თამამად დაგეგმეთ. მეგობრების დახმარებით ბევრ რამეს შეძლებთ, მაგრამ ოჯახური საჭიროებისათვის ხარჯებიც არ დაახანებს.

2	9	6	4	8	3	1	6	7
7	1	8	5	6	9	2	4	3
4	3	5	1	2	7	8	6	9
6	5	9	2	3	1	7	8	4
8	2	1	6	7	4	9	3	5
3	4	7	8	9	5	6	1	2
5	6	3	9	1	2	4	7	8
9	8	4	7	5	6	3	2	1
1	7	2	3	4	8	5	9	6

დარჩით მარად ახალგაზრდა!

თუ გსურთ, ასაკმა ნაკლებად დააჩნიოს კვალი თქვენს გარეგნობას, დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული განწყობა და ენერგია, ამაზე გამუდმებით უნდა იზრუნოთ. რა აძლევს ადამიანს ძალას, დარჩეს სულით ახალგაზრდა? უნიკალური რეცეპტი არ არსებობს. ზოგისთვის ეს სიყვარულია, ზოგისთვის — თვითსრულყოფის შესაძლებლობა. და მაინც, არსებობს რამდენიმე საიდუმლო, რომლებიც ახალგაზრდობის შესანიშნავ ხანას გაგიხანგრძლივებთ.

• **მეტი მოძრაობა.** ასაკთან ერთად ნელდება ნივთიერებათა ცვლა, ჩნდება ზედმეტი წონა. საქმეს ფიზიკური დატვირთვა უშველის. არ არის აუცილებელი, თავით გადავეშვათ სპორტში, — საკმარისია, უფრო მეტი ვიაროთ ფეხით. ეს საშუალებას მოგვცემს, შევინარჩუნოთ წვრილი წელი და მოქნილი ხერხემალი. სასურველია, ყოველ დილით გავაკეთოთ დილის გამამხნევებელი ვარჯიში, თუნდაც 7-10 წუთის განმავლობაში. შემდეგ მივიღოთ ცივი შხაპი ან ტანი სველი ტილოთი დავიზილოთ. ძალიან კარგია დილაობით სუფთა ჰაერზე სეირნობაც.

• **მოუარეთ კანს.** აუცილებელი არ არის, ძვირად ღირებული კოსმეტიკური საშუალებები შეიძინოთ. რეგულარული მოვლა — აი, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი. კვირაში ერთხელ გაიკეთეთ ნიღაბი სახეზე და დეკოლტეს მიდამოში. ნუ დაივიწყებთ მზისგან დამცავ საშუალებებს — მზის სხივები კანს აბერებს. საღამოობით პირი დაიბანეთ გადადუღებული წყლით, სახესა და ყელზე წაისვით მკვებავი, ხოლო ხელებზე — დამარბილებელი კრემი.

• **მოუარეთ კბილებს.**

• **აუცილებლად მოუარეთ თმას.** ლამაზი თმა ხომ ადამიანის სიამაყეა. შეარჩიეთ შამპუნი და ბალზამი თქვენი თმის თვისებების გათვალისწინებით. თვეში ერთხელ მაინც გაიკეთეთ თმის მკვებავი ნიღაბი. გახსოვდეთ, თუ ყოველდღე 15-20 წუთს მაინც დაუთმობთ საკუთარ თავს, სიბერე ძალიან გვიან გეწვევათ.

• ბავშვები ყოველდღე აღმოაჩენენ ხოლმე რაღაც ახალს. აიღეთ მაგალითი მათგან. ისწავლეთ რამე ახალი — ეს გონების შესანიშნავი სავარჯიშოა. ცხოვრებაც უფრო საინტერესო გახდება!

• **საინტერესოდ გაატარეთ თავისუფალი დრო.** იკითხეთ წიგნები, იარეთ ცეკვაზე ან ხელი მიჰყავით ყვავილების მოვლას. ახალი გატაცება მხოლოდ სულიერ კმაყოფილებას კი არ მოგანიჭებთ, არამედ ახალ გამოცდილებასაც შეგძენთ.

• **ხშირად იცინეთ!** სიცილი უხდება იმუნურ სისტემას. სიცილის მოყვარული ადამიანები იშვიათად ავადმყოფობენ და ნაკლებად იღლებიან. გარდა ამისა, სიცილი ტონუსს მატებს სახის კუნთებს, ხელს უწყობს ამ მიდამოში სისხლის მიწოდებას და აუმჯობესებს კანის მდგომარეობას.

• ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ გრეიპფრუტის არომატი აუმჯობესებს განწყობილებას, ხოლო თვით ნაყოფი აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას. დასკვნა: იმისათვის, რომ მხნეობა და ენერგია შეინარჩუნოთ, დღეში ერთხელ მიირთვით გრეიპფრუტი.

• დიდი მნიშვნელობა აქვს გარეგნობის შესატყვისად ტანსაცმლის, მაკიაჟის, სამკაულის შერჩევას. თუ ყველაფერს ზუსტად შეარჩევთ, მუდამ სრულყოფილი იერი გექნებათ!



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

პრაქტიკული სახელმძღვანელო

გამოვიდა წიგნი „ისტორია აბიტურიენტთათვის და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის", რომელიც შედგენილია ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამის შესაბამისად. მისი ავტორები არიან ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები — ისტორიის დოქტორი ჯამბულ ქაშიბაძე და დავით ბერძენიშვილი, რომელსაც ქალაქის საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც ისტორიკოსს, არქეოლოგსა და პედაგოგს.

კრებულში სარჩევად გამოყენებულია მისაღები გამოცდების პროგრამა — დაწყებული ქვის ხანიდან, დამთავრებული XX ს-ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესებით. კრებულში ერთადაა თავმოყრილი სხვადასხვა წიგნებში გაფანტული მისაღები გამოცდების პროგრამა. იგი გამოადგებათ არამხოლოდ აბიტურიენტებს, რომლებიც მისაღებ გამოცდას ისტორიაში აბარებენ, არამედ მოსწავლეებსაც საატესტატო გამოცდაზე.

კრებულში ცალკე თავი ეთმობა სამოქალაქო განათლებასაც, რომელიც ასევე მისაღები გამოცდის პროგრამითაა გათვალისწინებული.

წიგნის ბოლო ფურცლები დათმობილი აქვს მნიშვნელოვანი მოვლენების და ფაქტების ქრონოლოგიას, რომელთა შესწავლის შედეგად აბიტურიენტები და მოსწავლეები მზად იქნებიან მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

წიგნის ფორმატი პრაქტიკულია, სატარებლად მოსახერხებელი და ხელსაყრელია ახალგაზრდა მკითხველისათვის, რომ მუდამ თან იქონიოს.

ნანა ქვიშარელი

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

პარლამენტარი **კობა დავითაშვილი** პირველად **დალი ბარაბაძემ** ამოიცნო, შემდეგ გოგი კუხიანიძემ.

რას დაარქმევდით?

 კოტე კუბლაშვილი

დათა ახალაია

„ძმა ძმისთვისაო".

რატი ორაგველიძე

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

თარაზულად: 3. მეთხუთმეტე ბერძნული ასო. 5. ფინური ელექტრო-სატელეფონო ფირმა. 6. ჯარი, ლაშქარი ძველად. 8. მდინარე ჩილეში. 9. მიტო კახურად. 11. ბრიტანეთის ერთ-ერთი პროვინცია.

შვეულად: 1. ფრანკთა მეფე ... მოკლე. 2. დიდი ჩაქუჩი. 3. ლუდის სახეობა. 4. მზის სისტემის პლანეტა. 7. ვენესუელას პრეზიდენტი ... ჩავესი. 10. მოლუსკის სახეობა.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. მდინარე. 5. კროლი; 6. სვე. 8. მეი. 9. კასპი. 11. იორდანე.
შვეულად: 1. ჟიული. 2. ლაო. 3. მარსელი. 4. ეგვიპტე. 7. მარაო. 10. ორი.

სუდოკუ

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამეორდეს!

	3		6			4		
	2		7			1		
4	7		8			6		
9				4			6	7
3				6				2
5				3				8
		3			2		5	1
		4			1		3	
		8			6		9	

ქიმერიონი
qimerioni.ge

წიგნები
შენ გელოდება!

მისამართი:
ქუთაისი, „პოპული";
ტელ.: (790) 927 927.

როგორ ზეიმობენ აღდგომას მსოფლიოში



საფრანგეთში ეკლესიის ზარები ხუთშაბათიდან ვნების შაბათამდე დადუმებულია, რითაც იესო ქრისტეს წამებისა და სიკვდილის მწუხარებას იზიარებენ. თუმცა, აღდგომა დღეს ზარები კვლავაც რეკავენ ქრისტეს აღდგომის სიხარულის გამოსახატად. როგორც კი ფრანგები ზარების ხმას გაიგებენ, ერთმანეთს გადაეხვევიან და ულოცავენ აღდგომას. ისინი შოკოლადის კვერცხებს ამზადებენ, რომლებსაც ბავშვებს უმალავენ. ბავშვები მიაგნებენ თუ არა სააღდგომო კვერცხებს, მათ ჰაერში ისვრიან. პირველი ვისი კვერცხიც მიწაზე დაენარცხება, წაგებულად ჩაითვლება.

შვეიცარიაში სააღდგომოდ უამრავი ტრადიცია აქვთ. ქვეყნის დასავლეთში წითელ პარასკევს ქრისტეს წამების იარაღებსა და წმიდა ვერონიკას თავსაბურავს დაატარებენ. წინათ, ვნების პარასკევ დღეს, შვეიცარიის ქუჩებში მხოლოდ ფეხშიშველნი უნდა გასულიყვნენ. დღეს ეს ტრადიცია შეიცვალა. შვეიცარიის ზოგიერთ მხარეში ცეკვით ეგეგებებიან მზის ამოსვლას, როგორც ქრისტეს აღდგომის სიმბოლოს. ზოგან კი მზის სხივების გამოსახულების წყალში დაჭერის ტრადიცია აქვთ. შვეიცარიის ფრანგულ ნაწილში წყაროების მორთვის სააღდგომო ტრადიცია აქვთ. წყაროებს ალამაზებენ გირლიანდებით, რომელიც წითელი კვერცხებით, ტოტებითა და ბაფთებითაა მორთული.

ესპანეთში პოპულარულია სააღდგომო მსვლელობა, სადაც პატარა ბიჭებს პალმის რტოები უჭირავთ, ხოლო გოგონები ტკბილეულით არიან მორთულნი. წესისამებრ, მღვდელმსახური ამ ბავშვებს ლოცავს.

ყველაზე ცნობილი სააღდგომო მსვლელობა სევილიაში ეწყობა. პალმა-დე-მაიორკაში, ტაძრის წინ, აღდგომა დღეს ქრისტეს ვნებას გადმოსცემენ, ყველაზე საშიში წარმოდგენა კი ჟირონაში თამაშდება. იქ მეტად პოპულარულია ჩონჩხების ცეკვა. მამაკაცები ე.წ. ჩონჩხების კოსტიუმებით იმოსებიან და გამვლელებს აშინებენ.

იტალიაში, ტრადიციულად, ვნების პარასკევს ქუჩებში ჯვარს ეზიდებიან. მსვლელობა ვატიკანში იწყება და კოლიზეუმის (რომაული ამფითეატრის) კედლებთან მთავრდება. პროცესიის მონაწილეები შავებით არიან შემოსილნი, ჩაბნელებულ ქუჩებს მიუყვებიან და გზას სანთლებით ანათებენ. ირგვლივ მდუმარება მეფობს.

უკვე საუკუნეებია, კათოლიკე ქრისტიანების მთავარ სააღდგომო კერძად ცხვარი ითვლება. ნეაპოლიტანელებმა კი სააღდგომო გარნირად განსაკუთრებული რეცეპტი მოიგონეს — შემწვარი ტოპინამბური (მიწავაშლა), რაც შესანიშნავ გემოს აძლევს შემწვარ ბატკანს.

საბერძნეთში, როგორც მართლმადიდებელ ქვეყანაში, მორწმუნეები წინასააღდგომო საღამოს ლოცვაზე ანთებული თეთრი სანთლებით მიდიან, შუაღამისას კი ყველა სანთელი ქრება. ანთებული სანთელი ქრისტეს აღდგომას განასახიერებს, რაც მორწმუნეების ერთი სანთლიდან მეორეს გადაეცემა.

ჩვეულებისამებრ, **ამერიკულ ეკლესიებში** სააღდგომო მსახურება დილით, კოლექტიური გალობის თანხლებით მიმდინარეობს, რის შემდეგაც ოჯახი სააღდგომო სადილზე იკრიბება. ბავშვები, გერმანელი თანატოლების მსგავსად, საჩუქრებს იღებენ, რომლებსაც, მათი რწმენით, სააღდგომო კურდღელი გადასცემს. ამერიკაში ჩვევად აქვთ დაქანებულ გაზონებზე კვერცხების დაგორება. გართობის ამ სახეობის ყველაზე მეტ მონაწილეს თეთრი სახლის გარშემო შეხვდებით. ამერიკის მთავარ ქალაქებში ხალხმრავალი მსვლელობები ეწყობა. ყვავილებით მორთული მანქანები და ექსტრავაგანტურ ქუდებსა და ორიგინალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ადამიანები მანჰეტენის ბულვარზე ჩაივლიან. მსვლელობა კვირა დილის 10.00 საათზე მეხუთე ავენიუდან იწყება.

ავსტრალიაში სააღდგომო დღესასწაულის მთავარი მშვენება შოკოლადისგან დამზადებული სააღდგომო კვერცხია. სააღდგომო საუზმეზე კი ჯვრის გამოსახულებიან ფუნთუშებს ამზადებენ. ამ დღის საზეიმო სუფრისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ავსტრალიური ტორტია, სახელწოდებით „პავლოვა", რაც ცნობილი რუსი ბალერინას — ანა პავლოვას საპატივსაცემოდაა. ტორტი თოვლივით ქათქათა ბეზეთი მზადდება, რაც ბალეტის ჰაეროვნებას მოგვაგონებს და გაწყობილია მარწყვით, კივით, ანანასითა და მანდარინებით. აღდგომა დღეს შეყვარებული ავსტრალიელი წყვილები სააღდგომო გამდინარე წყალს იღებენ და მას ქორწილამდე ინახავენ. სწამთ, რომ, თუ ამ წყალს ერთმანეთს ჯვრისწერის წინ შეასხამენ, შეუღლება მტკიცე გამოვა.

ბერმუდის კუნძულებზე თეთრი ლილია „სააღდგომო ლილიის" სიმბოლოდ ითვლება. მოგვიანებით, ეს სიმბოლო ბერმუდიდან ამერიკაშიც გავრცელდა. მას შემდეგ სააღდგომო მორთულობაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება.

ბულგარეთში დიდ ხუთშაბათ დღეს კვერცხებს ღებავენ. ოჯახის ყველაზე ხანდაზმული დიასახლისი კი ყველაზე პირველად შეღებილი კვერცხით ჯვარს პატარა ბავშვებს შუბლზე გადასახავს. მოგვიანებით ამ კვერცხს სახლში დაბრძანებული ხატების წინ დებენ.

ბრაზილიის მოსახლეობის დიდი ნაწილი კათოლიკეა. მათთვის აღდგომა დიდ დღესასწაულად ითვლება. საუკუნეების წინ გერმანელმა ემიგრანტებმა ბრაზილიაში სააღდგომო ტრადიცია გაავრცელეს, მათ შორის — სააღდგომო კურდღელი, სხვადასხვა ფერად შეღებილი კვერცხები და სხვა.

დიდ ბრიტანეთში აღდგომას განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ. აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს, მიღებულია, რომ ქუჩაში შემხვედრ ბავშვებს კანფეტები და სათამაშოები დაურიგონ. ბრიტანელი ბავშვები მოუთმენლად ელიან აღდგომის კვირა დილას, როცა გაიღვიძებენ და სააღდგომო კურდღლისგან მათთვის დატოვებულ კალათებს იპოვიან.

ასეთივე განწყობაა **გერმანიაში**, სადაც ბავშვები ყველგან დაეძებენ სააღდგომო კვერცხებს, მათ შორის — სახლში, ეზოში, ბალახებში. გერმანიაში აღდგომა დღეს წესად აქვთ ყვავილებით, შოკოლადებით, ხილითა და ბაფთებით შემკული გვირგვინების ჩამოკიდება სახლის შესასვლელ კარებსა და ფანჯრებზე.

ირლანდიაში წითელი პარასკევი ძალიან წყნარი დღეა. მორწმუნეები შუადღემდე არაფერს მიირთმევენ. შაბათ დღეს კი ასობით სანთელი ინთება. ირლანდიელები აღდგომა დღეს მწვანე ხახვისა და ბატკნის სუპს შეექცევიან. ქუჩებში საცეკვაო შეჯიბრება იმართება, გამარჯვებულს კი ნამცხვრით ასაჩუქრებენ.

მექსიკაში აღდგომის დღესასწაულს 14 დღის განმავლობაში აღნიშნავენ. მიუხედავად იმისა, რომ ვნების კვირა სევდიანი განწყობის უნდა იყოს, მექსიკაში ამ დროსაც საკარნავალო მხიარულებაა — ფეიერვერკები, მსვლელობები, ქუჩის კარნავალები ტარდება.

მექსიკის სოფლებში სააღდგომო თამაშები ეწყობა. აღგილობრივები ამ ტრადიციას უკვე კარგა ხანია, იცავენ. ქოლერის ეპიდემიის შემდეგ, რამაც არაერთი მექსიკელი შეიწირა, 1833 წელს, სასწაულით გადარჩენილმა მექსიკელებმა გართობის მიზნით თამაში გადაწყვიტეს. თამაშის სახელწოდება იყო: „მადლობა თქვი". რეალურად, ეს გახლდათ ქრისტეს უკანასკნელი დღეების თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელიც საიდუმლო სერობით იწყებოდა. ამას მოსდევდა იუდას მიერ ქრისტეს გაცემა, მაცხოვრისთვის განაჩენის გამოტანა, ჯვარზე გაკვრამდე ტანჯვის გზის პროცესია, ჯვარცმა და ბოლოს — აღდგომა. ამ წარმოდგენისთვის მექსიკელები სპეციალურად იკერავენ კოსტიუმებს და თითქმის მთელი წლის განმავლობაში ემზადებიან საკუთარი როლის განსასახიერებლად. ეს წარმოდგენა, რომელსაც ადგილობრივები თამაშს უწოდებენ, წელიწადში ერთ მილიონზე მეტ დამთვალიერებელს იზიდავს.

ფინელები აღდგომის დღესასწაულს ოჯახთან ერთად, ბუნების წიაღში ატარებენ. დიდ ხუთშაბათს ყველა ფინელი ნაადრევად ამთავრებს სამუშაოს და სააღდგომო საყიდლებზე მიეშურება, შემდეგ კი აცხობენ კულიჩს და ღებავენ კვერცხებს.

წითელ პარასკევსა და შაბათს ფინეთში კოკონებს ანთებენ. მათი რწმენით, ცეცხლი და კვამლი ბოროტ ძალას დევნის. ქრისტეს ტანჯვის გასაზიარებლად ფინელები მსვლელობასაც აწყობენ, რომელიც შაბათ საღამოს ჰელსინკის ქუჩებში ტარდება. მათი აზრით, აღდგომა დღისთვის ყველა ბოროტი ძალა უკვე დამარცხებული და განდევნილია. ფინელებს უყვართ გამოთქმა, რომ აღდგომა დღეს სიხარულისგან მზეც კი ცეკვავს, ამიტომ აღდგომასთან ერთად ისინი მზის ამოსვლასაც ეგეგებიან. ტრადიციული კერძი კულიჩი და ჭვავის პუდინგია. ბავშვებისთვის კი შოკოლადის კვერცხებსა და შოკოლადის სააღდგომო კურდღლებს ამზადებენ.

ლეგენდის თანახმად, ერთხელ, როცა სააღდგომოდ ბატკნის ფიგურის მქონე ნამცხვრის გამოცხობას აპირებდნენ, ბატკანი გრძელყურებიანი გამოუვიდათ. მას შემდეგ ფინეთში სააღდგომო კურდღელი პოპულარული გახდა.

for.ge

სააღდგომო სუფრის მთავარი მშვენება

პასკა

15 კვერცხი და 1,5 კგ შაქრის ფხვნილი ავურიოთ, გავაკეთოთ გოგლიმოგლი, დავამატოთ 300 გ გამდნარი თბილი ერბო (უმჯობესია შინაური ერბო), 200 გ გამდნარი თბილი კარაქი. ყველაფერი ეს კარგად ავთქვიფოთ, დავამატოთ 200 გ არაჟანი და 0,5 ლ (1 ქილა) მაწონი.

ცალკე: 3-4 სუფრის კოვზი მშრალი საფუარი გავხსნათ 1ჭ თბილ წყალში, დავასხათ 1ლ თბილი რძე, ცოტა მარილი, 1 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, იმდენი ფქვილი, რომ გამოვიდეს ნაზი ცომი. დავდგათ თბილ ადგილას აფუებამდე.

მომზადებული მასა ჩავასხათ გამზადებულ ცომში და დავიწყოთ ცომის ზელა. ზელის დროს ვაყაროთ ფქვილი. სასურველია ვზილოთ 1 სთ, დროდადრო ხელი უნდა ვასველოთ ზეთში. ცომი მზადაა მაშინ, როცა ხელზე აღარ გვეკვრის. ცომის გამზადებამდე 10-15 წუთით ადრე მას ვამატებთ 1 ჩაის კოვზ ვანილს, 1 ჩაის კოვზ გასრესილ მუსკატის კაკალს, 5 ც მიხაკს, 10 ცალ ილს — გახეხილს, ორ ქერქიანად გატარებულ ლიმონს. სასურველია 500 გ ქიშმიშიც. ამის შემდეგ ვაგრძელებთ ზელას.

გამზადებულ ცომს ვფუთავთ და ვდგამთ თბილ ადგილას. როცა ცომი კარგად ამოვა, ვათავსებთ კარაქწასმულ ფორმებში.

თითოეულ ფორმაში ვათავსებთ ცომის ნაწილს ისე, რომ ფორმა ნახევრად შეავსოს. შეგვიძლია მოვრთოთ ნუშით ან მიწის თხილით. გამზადებულ ფორმებს ვათავსებთ თბილ ადგილას.

ფორმამ ცომი რომ არ მიიკრას, მის ძირსა და კედლებზე, რომლებზეც კარაქია წასმული, ვაყრით მანანის ბურღულს. როცა ფორმაში ცომი კარგად ამოვა, ვდგამთ ღუმელში და ვაცხობთ საშუალოზე ცოტა მაღალ ცეცხლზე. როცა შევნიშნავთ, რომ ზედაპირი კარგად შეწითლდა, გადმოვდგამთ. პასკა რომ ფორმიდან კარგად ამოვიდეს, ვდგამთ მის ძირს ცივ წყალში, შემდეგ კი ნელი მოძრაობით ამოგვაქვს ფორმიდან. ბოლოს მოვაყრით დაფქვილ შაქარს.

წითელი კვერცხი

კვერცხი, სასურველია, ბუნებრივი საღებავით შეიღებოს. საუკეთესო საშუალებაა ენდრო. ერთი შეკვრა ენდრო კარგად გარეცხეთ, დაჩეჩქვეთ, დაასხით 1-1,5 ლიტრი წყალი, ჩაყარეთ 2-3 ხახვის გარეთა ფურცელი, 1 ჩაის კოვზი მარილი, დადგით ცეცხლზე და 15-20 წუთი აადუღეთ. კარგად რომ გაცივდება, ჩააწყვეთ 20 კვერცხი (თუ ბევრს ერთად მოხარშავთ, კარგად არ შეიღებება და შეიძლება დასკდეს კიდევაც). თუ წყალმა კვერცხი ვერ დაფარა, ჩაამატეთ, რამდენიც საჭიროა, და 20-25 წუთი ხარშეთ ნელ ცეცხლზე, შემდეგ ფრთხილად ამოიღეთ, ცივ წყალში გადააწყვეთ და ათიოდე წუთი დატოვეთ (ასე გაციებული კვერცხი აღვილად გაიფცქვნება).